პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და შაქრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პრო-სპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 20
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში 6.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—6.500.000 კოლექტ. ხელის მოწ. 4.000.000 მანეთი განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 211 პარასკევი. 14 სექტემბერი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 250,000 მან. № 211

დღიური

— საფრანგეთსა და გერმანიას შორის დაიწყო არაოფიციალური მოლაპარაკება.

— დრეზდენში გაიმართა პროლეტარული რაზმების დემონსტრაცია.

— ს. ს. რ. კ. საგარეო საქმეთა კომისარმა ბულგარეთის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც მოითხოვს [illegible]ლებას შლეპუგინის მოკვლისა და იუსტინ-[illegible] კომისიის წევრთა დევნის გამო.

— იტალია თავის ადმინისტრაციას აწყობს კუნძულ კორფუზე. საბერძნეთის ადმინისტრაციამ იტალიის ჯარების მიერ დაკავებული კუნძულები დასტოვა.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ
გამოყოფილი განსაკუთრებული

კომისია

რომელსაც დავალებული აქვს უწყებების მიერ დაკავებულ სახლების აღრიცხვა ტფილისში, აცხადებს ყველა ამიერ-კავკასიის და საქართველოს ცენტრალურ და აგრეთვე სამხედრო ორგანოების საყურადღებოდ, რომ 19 სექტემბრამდე წარმოადგინონ ტფილისის აღმასკომში კომისიის წევრთან ამხ. მეხიან (ოთახი № 5) სია როგორც სახაზინო, ისე კერძო შენობებისა, რომლებიც მათ, ან მათ ქემდებარე ორგანოებს უჭირავთ ტფილისში სრული აღნიშვნით მისამართის, ოთახების რაოდენობის, საცხოვრებელ სივრცის ზომის და სართულების.

(2247 2—2) **განსაკუთრებული კომისია.**

გერმანია—საფრანგეთის მოლაპარაკების შესახებ

როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს, უკვე დაწყებულა საიდუმლო მოლაპარაკება გერმანიის და საფრანგეთის მთავრობებ შორის.

შტრეზემანის კაბინეტი კარგა ხანია ამზადებდა „საზოგადოებრივ აზრს“ ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად, ის აგრეთვე შეუთანხმდა ამაზე მრეწველთა წრეებს; ამასთან ხდებოდა საიდუმლო მოლაპარაკება ორივე ქვეყნის კაპიტალისტებ შორის. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გერმანიის მთავრობა თითქო ამზადებს მოსახლეობას საოკუპაციო ხელისუფლების მიმართ პასიურ წინააღმდეგობის შესაწყვეტად, რაც იქნება პუანკარეს მიერ მოლაპარაკების დასაწყებად წამოყენებულ წინასწარ პირობის შესრულება.

ეს და სხვა ცნობები მოწმობენ, რომ მოლაპარაკების დაწყება მოპირდაპირე მხარეთა შორის ნამდვილი ფაქტია, რასაც ბერლინის ოფიციალური წრეებიც ვერ უარყოფენ.

ამ ჟამად დანამდვილებით შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა მსვლელობას მიიღებს საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულება და რით გათავდება დაწყებული მოლაპარაკება.

როგორც მკითხველებს ახსოვთ, პუანკარემ ამას წინედ, შტრეზემანის საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში, უარყო გერმანიის კანცლერის არაოფიციალურად გაკეთებული წინადადებანი გარანტიების შესახებ—როგორიცაა გადაცემა საფრანგეთისათვის რკინის გზებისა და გერმანიის მრეწველობის მოგებიდან განსაზღვრულ პროცენტის,—და ყველაზე საიმედო გარანტიად კონტრიბუციის მისაღებად რური და მისი ფაბრიკა-ქარხნები მიიჩნია, ე. ი. ის, რასაც ოკუპაციით ფლობს დღეს საფრანგეთი, და ამის ხელიდან გაშვებაზე პუანკარე გადაჭრილ უარზე დგას, სანამ სავსებით არ იქნება შესრულებული ვერსალის ხელშეკრულება.

და თუ პუანკარეს ასეთი კატეგორიული განცხადების შემდეგ, მაინც იწყება მოლაპარაკება, ეს იმას ნიშნავს, რომ შტრეზემანის მთავრობა მიდის კაპიტულიაციაზე საფრანგეთის იმპერიალიზმის წინაშე.

საკითხავია, ვის დააწვება ამ კაპიტულიაციის შედეგების მთელი სიმძიმე?—არა გერმანიის ბურჟუაზიას, რა თქმა უნდა. როგორც სჩანს, ხდება შეთანხმება საფრანგეთის და გერმანიის კაპიტალ შორის რურის ოლქის საექსპლოატაციოდ.

მთელი ბრძოლა რურში ხომ მის ექსპლოატაციაში მონაწილეობის მიღებისა და ამ წილის ოდენობისათვის წარმოებდა.

ამ ბრძოლაში გერმანიის პროლეტარიატმა მრავალი სისხლი დაღვარა როგორც ოკუპანტებსა, ისე „თავისი“ ბურჟუაზიასთან შეტაკებების დროს. მშრომელი მასის ამ დაღვრილ სისხლს გერმანიის ბურჟუაზია იყენებს დღეს იმისთვის, რომ მეტი წილი ერგოს რურის სიმდიდრეში.

ცხადია, რომ შეთანხმება გერმანიასა და საფრანგეთ შორის, თუ ის იქნა მიღწეული, მოხდება მხოლოდ გერმანიის პროლეტარიატის ხარჯზე. გერმანიის და საფრანგეთის კაპიტალისტები საერთო ძალღონით შეეცდებიან გერმანიის მუშათა კლასის ენერგიის ამოქაჩვას როგორც რეპარაციების გასასტუმრებლად, ისე თავიანთი ჯიბეების გასასქელებლად. გერმანიის ისედაც გაჭირვებულ მშრომელ მასას უარესი დღეები მოელის.

მხოლოდ რევოლიუციას, კაპიტალისტთა ხროვის დამხობას შეუძლია ის გამოიყვანოს ასეთი მდგომარეობიდან. გერმანიის პროლეტარიატიც ამ რევოლიუციისათვის ემზადება.

პოლიტგანათლების საკითხის ირგვლივ

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ მთელი თავისი სიდიადით დააყენა საკითხი მუშათა მასების წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის და გონებრივათ განვითარება—ამაღლებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც ვიცით, ეს საკითხი, იქცევდა სამოქალაქო ომის დროს და ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მუშათა კლასის უცოდინარობით ბნელი, კონტრ-რევოლიუციონური ძალები ფართოდ სარგებლობდნენ და ასეთ პირობებში სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხს წარმოადგენდა ბნელეთისათვის სინათლის დაპირდაპირება,—ბრძოლის პროცესში მუშათა კლასმა იმდენი თვით-შეგნება გამოიჩინა, რომ ბნელი ძალების გველისებური სისინი და უსინდისო მატყუარობა შესაფერისად დააფასა და შედეგად ბრწყინვალე გამარჯვება იგემა, მაგრამ ამით პოლიტგანათლების საკითხი არ ამოწურულა. ის მემკვიდრეობა, რომელიც ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო ძველი წესწყობილებიდან, ფრიად მძიმე და შემაშფოთებელია. მუშათა მასები და გლეხობა სწავლა-განათლების მხრივ სულ მივიწყებული იყო მეფის მთავრობისა და ბურჟუაზიის მიერ, ვინაიდან მათ კარგად ესმოდათ, თუ რა თავზარდამცემ ლახვარს წარმოადგენდა მათთვის მუშებისა და გლეხების ხელში ცოდნა; ამიტომაც იყო მუშების და გლეხების ცოდნის შეძენაზე არამც თუ ვინმე ფიქრობდა, პირიქით, ხელს უშლიდნენ, რომ ამ საშინელ ვეშაპს არ გაღვიძებია და თავის მოწინააღმდეგე არ შთაენთქა. მაგრამ, როგორც ვთქვით ეს საშიშროება სინამდვილედ იქცა, მუშათა კლასის წინაშე გაიშხლართა ბურჟუაზია და რომ მის მძიმე ლოდ-დადებულ სამარეზე აყვავდეს და გადიფურჩქნოს მუშათა და გლეხთა ცხოვრება, საჭირო არის ცოდნა, ცოდნა და ცოდნა. საბჭოთა ხელისუფლება ნათლად გრძნობს ყოველივე ამას და დიდი ყურადღებით ეპყრობა არა მარტო სასკოლო ჰასაკში მყოფ თაობის აღზრდას, არამედ სკოლის გარეშე განათლების საქმესაც. ამ უკანასკნელს, როგორც ვიცით, ხელმძღვანელობს მთავარი პოლიტგანათლება. მოვალეობა მძიმე და დიდია იმ პირობებში, რომელშიდაც მას უხდება მუშაობა. ის არ იშურებს თავის ძალას და ენერგიას, რომ სავსებით განახორციელოს დასახული მიზნები, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გაუკეთებელი ამ დარგში. თუ ჩვენ ციფრებს გადავავლებთ თვალს, დავინახავთ შემდეგს; მაგალითისათვის ციფრებს მოვიყვან თბილისის და მისი მაზრის მუშაობიდან: ქალაქში ყველა კავშირებში ითვლება 30.729 წევრი, ამათში წ. კ. უცოდინარნი 4.358, პროცენტების მიხედვით წ. კ. უცოდინართა რიცხვი საერთო კავშირების წევრთა რიცხვთან შედარებით შეადგენდა 14 პროც., ამ რიცხვიდან გამოშვებულია სკოლებიდან 333, ითვლება სკოლებში 589, მაზრაში არსებობს 13 წ. კ. უც. სალიკვიდაციო სკოლა და 1 პირველ საფეხურის; მოწაფეთა რიცხვი ამ სკოლებში უდრის 375, საზაფხულო არდადეგების გამო ამ სკოლებში მეცადინეობა შეწყვეტილია. თუ მხედველობაში მივიღებთ მაზრის სიდიდეს და მეტის-მეტ ჩამოქვეითებას წერა-კითხვის ცოდნის მხრივ (არის სოფლები, სადაც წ. კ. მცოდნეთა რიცხვი არ აღემატება 4—5—7 კაცს), დავრწმუნდებით, რომ მუშაობა წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციოთ ჯერ წინ კიდევ ბევრი გვიძევს. მე მაგალითისათვის მოვიყვანე ტფილისი და მისი მაზრა და ვფიქრობ, ვერც სხვა ადგილები შესძლებდნენ მეტის გაკეთებას ამ მხრივ. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, ვინაიდან მუშის და გლეხის ამოძრავება ამ ნიადაგზე არც ისე იოლია, როგორც პირველ შეხედვაზე მოგვეჩვენება: ფიქრობ სიკეთე მოგაქვს მისთვის, ცოდნა გინდა მიაწოდო, როგორ შეიძლება, რომ ჭკუათმყოფი ადამიანი ასეთ შენს კეთილ განზრახვებს არ მიეგებოს, მაგრამ თუ ჩვენ მოვიგონებთ იმასაც, თუ როგორ არის მუშა და გლეხი დატვირთული ათასგვარ დღიური მოთხოვნილებით, ნათელი გახდება ის ობიექტიური პირობები, რომელნიც ხელს გვიშლიან ამ მუშაობაში. რომ ეს პირობები გადავლახოთ და მიზანს მივაღწიოთ, საჭირო არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეეფარდება ამ პირობებს და აწარმოებს სისტემატიურ და დაუღალავ მუშაობას. პოლიტგანათლების სამოქმედო სფეროში, გარდა სკოლებისა, შედის ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების და სხვათა ხელმძღვანელობა. მე არას ვიტყვი ქალაქის ბიბლიოთეკა-თეატრ-კლუბებზე, მაგრამ, თუ სოფლათ ვნახავთ მათ, აშკარათ დავრწმუნდებით, რომ ისინი ვერ ასრულებენ სავსებით თავის დანიშნულებას: ბიბლიოთეკებში გლეხი იშვიათად შედის, ან უმრავლესობა რად უნდა შევიდეს, როდესაც წაკითხვაც არ იცის, ამასთანავე კითხვაც რომ იცოდნენ, დროც არ აქვთ, ათასნაირი სოფლის სამუშევარი ერთი წუთ დროსაც არ უტოვებს თავისუფალს, გარდა კვირა-უქმე, ცუდი ამინდების და ზამთრის დღეებისა, როდესაც გლეხი ვერ ახერხებს სოფლის სამუშევარის წარმოებას; ასეთივე მიზეზების გამო გლეხს არ ძალუძს იაროს კლუბებ-თეატრებში, ასე რომ, თუ საკითხს მეტი დაკვირვებით არ მიუდექით, წ. კ. უც. სალიკვიდაციო სკოლები, ბიბლიოთეკები, თეატრები და კლუბები, რამდენიც არ უნდა გავხსნათ, მიზანს ვერ მივაღწევთ. მაშ, საჭირო არის გლეხს დრო შევურჩიოთ და ისე მივაწოდოთ ცოდნა მისი განვითარება-განათლებისათვის, თუ როდის შეიძლება მასთან ასეთი მიზნით მისვლა, მე უკვე ვსთქვი ზევით. საჭირო არის გათვალისწინება იმისაც, თუ რა სახით მივიდეთ მასთან. გლეხი როდესაც თავისუფალია, გამოდის საბაასოთ დანიშნულ საზოგადო ადგილზე მე მგონია პირველ ხანებში აქ უნდა მივიდეთ გაზეთით, ან მოკლე მოხსენებით, რომელიც ბაასის ხასიათს ატარებს, დავაინტერესოთ იმ ცოდნით, რომელსაც მას გადავსცემთ გაზეთის კითხვის ან ბაასის დროს, ამ გონების გაღვიძებასთან მას პოლიტიკური ანბანიც მივაწოდოთ. ასეთი დაინტერესების შემდეგ, ან პარალელურათ, ის წ. კ. უც. სკოლაში უნდა წავიყვანოთ, აქ მასთან გარდა წერა-კითხვისა, უფრო ფართე ბაასი მოხსენების, ან ლექციების სახით უნდა გაუმართოთ. მაშ, გაზეთების ხმამაღლა კითხვა არჩეულ ადგილებზე, მოკლე მოხსენებები, ლექციები, სკოლები, თეატრები, შემდეგ ბიბლიოთეკა-კლუბით და სხვა. აი საშვალებანი გლეხის ამ მუშაობაში ჩასაბმელად, და მასთან ყოველივე ეს განსაზღვრულ დროში. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ამ მუშაობას ფართე მასიური ხასიათი უნდა მიეცეს. ჩვენ რომ ასეთი მუშაობისათვის ცალკე ორგანიზაცია შეექმნათ, ერთი რომ ამდენ ძალას, რომელიც მისაღები იქნება, როგორც ცოდნის, ისე პოლიტიკურის მხრივ, ჩვენ ვერ ვიშოვით და მასთან საშინელი ძვირიც დაგვიჯდება, ვინაიდან ეს არ არის ერთი და ორი დღის საქმე, არამედ რამოდენიმე წლების. ერთად ერთი გზა, რომელსაც უნდა დავადგეთ, ეს არის სოფლის მასწავლებლობა, რომელიც ამ საქმეზე ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული; თუ ეს ამდენ ხანს შეუძლებელი იყო სხვა და სხვა მიზეზების გამო, მას შემდეგ, რაც საგრძნობი ნაწილი მასწავლებლობისა ჩვენს კურსებზე გავატარეთ, ეს მისაღებია და მე ვფიქრობ, აუცილებელიც არის. მასწავლებელი, რომელიც მუდამ გლეხთან ტრიალებს, მის სულსა და გულს უფრო იოლად გაიგებს და შესაფერისად მიუდგება, ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელი, რომელიც მარტო მოხელეთ არ იყო გადაქცეული, ამ საქმეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან აწარმოებდა. მართალია, მაშინ ასეთი თავდადებულნი ცოტანი იყვნენ, მაგრამ დღეს, როდესაც ამ საკითხს სახელმწიფო საკითხად ვაცხადებთ, მასწავლებლის დაინტერესება ამ საქმეში ქონებრივათაც მოხდება. ასეთი გზით მასწავლებლობა ჩაებმება ამ საქმეში და სკოლა გადაიქცევა არა მარტო ბავშვების აღმზრდელ დაწესებულებად, არამედ დიდების სწავლა-განათლების ცენტრად. ეს მუშაობა, რასაკვირველია, იქნება წარმოებული პარტიის აქტიური მონაწილეობით.

პარტია და სკოლა ხელი-ხელ ჩაკიდებული ამ საქმეში დიდ სარგებლობას მოიტანს და მთელს შესაძლებლობას ამოწურავს. ასეთი წესი არა მარტო სოფლისთვის, ქალაქისათვისაც არ იქნება მნიშვნელობას მოკლებული. აქაც სკოლებისა და მასწავლებლობის, როგორც ტეხნიკური და კულტურული ძალის გამოყენება აუცილებელია ამ გზას ვერ აცდება პოლიტგანათლება, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული ფართე მასების ამოქმედება თავის ირგვლივ და ეს რაც მალე იქნება, მით უკეთესია. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პოლიტგანათლების ორგანოები, როგორც ცენტრში, ისე მაზრებში ხან დამოუკიდებლათ მუშაობდენ, ხან პარტიის ორგანოებს ექვემდებარებოდენ, ხან განათლების განყოფილებებთან იყვნენ. ასე, რომ აქ არ იყო გარკვეული მდგომარეობა. მუშაობის ნაყოფიერებისათვის საჭირო არის აქაც იქნეს გარკვეული ხაზი აღებული.

ქ. ქ.

ოქროს მომგებიანი სესხი

III*)

რატომ არის ხელსაყრელი მისი ობლიგაციების შეძენა

მეორე წერილში ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული ის უპირატესობანი, რომლებიც ენიჭებათ ობლიგაციების შემძენელთ, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა.

სესხის ობლიგაციებს ბირჟაზე ტრიალი შეუძლიათ, როგორც ყველა სხვა ფასიან ქაღალდებსა და მათი კურსი დამოკიდებული იქნება იმაზედ, თუ როგორი იქნება მოთხოვნა და შეძლება მათი.

მეფის მთავრობის დროს გამოშვებული მოგებიანი სესხის ობლიგაციები, ბევრად ნაკლების გარანტიებით და ნაკლებად ხელსაყრელ პირობებით, ხშირად ნომინალურ ღირებულებაზედ ბევრად მაღლა ფასობდნენ.

ახალი სესხის ფრიად ხელსაყრელი პირობები და სრული მისი უზრუნველყოფა გვაფიქრებინებს, რომ ამ **სესხის ობლიგაციები სრულიად ახლო მომავალში ნომინალურ ღირებულებაზედ მაღლა შეფასდებიან.**

ობლიგაციები უსახელოა და მისი გადაცემა ჩუქება ან გაყიდვა არავითარი ფორმალობით შეზღუდული არ არის. ამიტომ ობლიგაციის პატრონს თუ მას ფულები დასჭირდა, შეუძლიან გაყიდოს ბანკში ან ბირჟაზე. ობლიგაციების სყიდვა-გაყიდვის გასაადვილებლად იმ პირებისათვის, რომელნიც ბანკზე დაშორებულნი არიან, ხაზინებს უკვე დაეგზავნათ ბრძანება ამ ოპერაციების წარმოების შესახებ.

თუ სესხის ობლიგაციის პატრონი არ მოისურვებს ობლიგაციების გაყიდვას, **მას შეუძლიან ისინი დააგირაოს ბანკში** სრულიად მცირედი სარგებლის გადახდით.

ობლიგაციები შეიძლება წარდგენილ იქმნან საწინდრად სახელმწიფო სხვადასხვა იჯარების აღების დროს, სატამოჟნო ან სააქციზო გადასახადის უზრუნველსაყოფად და სხვა. ამ გზით საწინდარის წარმომადგენელი აღარ ადგენს საწინდარის ანგარიშში ოქროს, ძვირფას თვლებს და სხვას, რასაც საწინდარ ყოფნის დროს განმავლობაში არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან. სესხის ობლიგაციები კი, თუნდა საწინდარის ანგარიშში წარდგენილნი, სარგებელს 6 პროც. მაინც აძლევენ.

მაშასადამე **სესხის ობლიგაციის შემძენი ეხმარება სახელმწიფოს და სახალხო მეურნეობის სახარგებლოდ ათავსებს თავის კაპიტალს, უზრუნველყოფს მას სარგებლით, შესაძლებელ ხდის თავის ქონების გადიდებას ობლიგაციების ღირებულების ზრდით,** (დაპატარავება კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება) **და ამავე დროს ეხსნება მას შესაძლებლობა დიდი ქონების შეძენისა მოგების ტირაჟით.**

თვითეულ ჩვენგანს დიდი ზარალი ადგება ფულის კურსის დაცემით, აღნიშნული სესხი კი ფულის კურსის განმტკიცებას ხელს უწყობს. მაშასადამე **თვითეული ჩვენგანი სესხის ობლიგაციის შეძენით თავის საკუთარ საქმეს აკეთებს ამავე დროს ეხმარება სახელმწიფოს და სახალხო მეურნეობას.** სახელმწიფოს დიდი ხარჯები აქვს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესობაზე, ტრანსპორტის აღდგენა განვითარებაზე, მრეწველობის აღორძინებაზე, ჯარის, სკოლების, სახელ წიფო აპარატის შენახვაზე და სხვა. რაც უფრო ბევრს ფულს მიიღებს მთავრობა სესხიდან, მით უფრო ჩქარა აღადგენს ქვეყნის მეურნეობას და ამისათვის ემისიის გაძლიერება არ დასჭირდება.

კარგად ჩატარებული შინაური სესხი უდიდესი იმპულსი იქნება საგარეო სესხისათვის. ის გაადვილებს უფრო შეღავათიან პირობებში საგარეო სესხის მიღებას, რაიც ეგრე საჭიროა სახელმწიფოს მეურნეობის აღსადგენათ.

რაც უნდა ღარიბები ვიყოთ, **ობლიგაციების ყიდვა** მაინც შესაძლებელია, რადგან კანონმდებელმა მისი ყიდვა **ხელმოკლე კლასებისათვის შეღავათიან პირობებში ჩააყენა.**

განვიხილოთ ახლა ობლიგაციების გასაღების პირობები.

უპირველეს ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ, რომ **გამოშვებულია ობლიგაციები პატარა კუპიურებათ,** ე. ი. 5 და 25 მანეთის ღირებულებისა.

მეფის მთავრობა სესხის ასაღებად გამოუშვებდა ხოლმე დიდს კუპიურებას იმ იმედით, რომ სესხი მას ჰსურდა მოეთავსებინა მსხვილი ბურჟუაზიის ხელში. დღეს კი 6 პროც. მომგებიანი ოქროს სესხის ობლიგაციები პატარა კუპიურებისა არიან იმ მოსაზრებით, რომ სესხი უმთავრესად მოთავსდება ხელმოკლე ხალხში და მათ მიერ შეძენის გასაადვილებლად.

შემდეგ ობლიგაციების შეძენა შეიძლება მისი ღირებულების ერთდროულად გადახდით და ამ ღირებულების რამდენიმე ვადაზედ განაწილებითაც, მაგრამ იმ პირობით, რომ პირველად შეტანილი უნდა იყოს ობლიგაციის ღირებულების 50 პროც. მეორე ნაწილი კი ერთი თვის განმავლობაში, ოქროს კურსის მიხედვით.

მუშა-მოსამსახურეთა მიერ ობლიგაციების კოლლექტიურად შეძენის დროს სახელმწიფო უფრო მეტს შეღავათს აძლევს: პირველი შეღავათი ის არის, რომ ობლიგაცია ეთმობათ 5 პროცენტით ნაკლებ, ე. ი. ხუთ მანეთიანი ობლიგაცია მათთვის ღირს 4 მ. 75 კ. 25 მანეთიანი კი 23 მ. 75 კაპ. გარდა ამისა მათ შეუძლიანთ ობლიგაციის ღირებულება შეიტანონ ნაწილ-ნაწილ ორი თვის ვადაში, პირველად ობლიგაციების ღირებულების ერთი მესამედი არა ნაკლები. ამ შემთხვევაში ადგილკომი ან ქარხნის კომიტეტი ადგენს ობლიგაციის შეძენის მსურველთა სიას (არა ნაკლებ 10) და ადმინისტრაციის შემდეგ წარედგინება ხაზინას. შემდეგ თვეებში ხვედრი ფული დაიჭირება ჯამაგირიდან და გადაიგზავნება ხაზინაში ოქროს კურსის მიხედვით.

თუ ვისმეს ექნება სურვილი ბევრი ობლიგაციების შეძენისა, და ამისათვის საკმაო თანხა არა აქვს, მას შეუძლიან სახელმწიფო ბანკში შეიძინოს რამდენიც სურს და ეს ობლიგაციები იქვე დააგირაოს. ამ შემთხვევაში მას ბანკში შეაქვს მხოლოდ განსხვავება ობლიგაციების ღირებულებასა და მათ გირავნობის ქვეშ ნებადართულ თანხას შორის.

ასეთია ობლიგაციების გავრცელების პირობები. როგორც აქედან სჩანს, ფინანსიურმა უწყებამ ყოველგვარი ზომები მიიღო გაეადვილებინა ობლიგაციების შეძენა ყველა წრეებისათვის.

თვითეული მოქალაქის მოვალეობა არის, სახელმწიფოს ამ საკრედიტო ოპერაციაში მიიღოს მონაწილეობა და მით ხელი შეუწყოს ხელისუფლების განმტკიცებას და სახალხო მეურნეობის აღდგენას.

ხ.

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ №№ 209, 210.

რადიო-დეპეშები

(„ზაქროსტა“-ს ცნობები)

გერმანიის ამბები

გერმანიის მთავრობის წრეები არ უარყოფენ ხმებს საფრანგეთ-გერმანიის არაოფიციალური მოლაპარაკების შესახებ.

პარიზში მოელიან გერმანიის მთავრობის ნოტას მოლაპარაკების დაწყების შესახებ. „დეილი მელის“ კორესპონდენტის ცნობით, იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა იკისროს შუამავლობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის.

დოლარის კურსი 80 მილიონ მარკამდე ავიდა.

ბერლინში გაიხსნა სოციალ-დემოკრატების საოლქო ყრილობა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატების ორგანო „ხალხის ხმა“ სწერს, რომ შტრეზემანის მთავრობამ ვერ შესძლო ვერც ერთი დაპირების შესრულება.

დრეზდენში გაიმართა პროლეტარული რაზმების გრანდიოზული დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 6.000 კაცი. დემონსტრაციას დაესწრო საქსონიის პრემიერი ცეიგნერი.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების გარშემო

საფრანგეთის და გერმანიის მრეწველთა მოლაპარაკება გრძელდება.

ლონდონი. 13 სექტემბერი. საფრანგეთისა და გერმანიის მრეწველთა მოლაპარაკება გრძელდება. საფრანგეთის წრეებში მოლაპარაკებას პესიმისტურად უცქერიან.

შტრეზემანი ამზადებს კაპიტულიაციას.

ლონდონი. 13 სექტემბერი. გერმანიის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს შტრეზემანმა განაცხადა, რომ უცხოეთთან სადაო საკითხების მოგვარებამდე **გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა და მარკის კურსი არ შეიძლება გაუმჯობესდეს. რურის საკითხის გადაჭრა არ შეიძლება პასიურ წინააღმდეგობის განგრძობის საშუალებით,** მაგრამ არც შეიარაღებული ძალით შეიძლება მისი გადაჭრა. დასკვნაში შტრეზემანი მაინც დაეთანხმა თავის წინამორბედის კუნოს განცხადებას იმის შესახებ, რომ საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ რურის ევაკუაციის შემდეგ.

იტალია შუამავლის როლში.

ლონდონი. 13 სექტემბერი. „დეილი მეილის“ რომის კორესპონდენტი იტყობინება, რომ იტალიის კაბინეტის სხდომაზე გადასწყდა, რომ იტალია იქნება შუამავალი გერმანიასა და საფრანგეთს შორის. პირველყოვლისა ის დაარწმუნებს გერმანიის მთავრობას პასიურ წინააღმდეგობის სრულ უნაყოფობაში.

ინგლისს მაშინვე შეატყობინებენ.

ბერლინი. 13 სექტემბერი. ინგლისის გაზეთების პარიზის კორესონდენტი იუწყება, რომ როგორც კი ბერლინში მყოფ საფრანგეთის ელჩის მოლაპარაკება მიიღებს არსებით ხასიათს, ინგლისის მთავრობას მაშინვე აცნობებენ ამის შესახებ.

ტაში გატყდა, ხმა გავარდა.

ბერლინი. 13 სექტემბერი. საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში ადასტურებენ განცხადებას იმის შესახებ, რომ საფრანგეთის ელჩი ბერლინში უკანასკნელ დღეებში ეთათბირა კანცლერ შტრეზემანს. ხაზს უსვამენ, რომ გერმანიის მთავრობის მოთხოვნილებანი ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის.

შეთანხმება მახლობელ დღეებშია მოსალოდნელი.

რომი. 13 სექტ. **საფრანგეთის ცნობების თანახმად გერმანიის პასიური წინააღმდეგობა რურში შეწყვეტილი იქნება მახლობელ დღეებში. მოსალოდნელია საფრანგეთ-გერმანიის უშუალო შეთანხმებაც.**

აღარ ფარავენ.

ბერლინი. 12 სექტემბერი. მთავრობის წრეები ვეღარ უარყოფენ საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების ფაქტს, მაგრამ ირწმუნებიან, რომ მოლაპარაკებას არ აქვს ოფიციალური ხასიათი. მაგრამ ფაქტები ეწინააღმდეგებიან ამ რწმუნებას. საფრანგეთის ელჩის მარეერის ხშირი დარბაზობა ბერლინის გარეშე საქმეთა სამინისტროში, საფრანგეთის საელჩოს წევრის პაგენინის პარიზში გამგზავრება მაჩვენებელია იმისა, რომ მოლაპარაკებას აქვს ოფიციალური ხასიათი. კაბინეტის წევრებს შორის აღძრულია საკითხი პარიზში გერმანიის ელჩის კანდიდატის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ბირჟამ უპასუხა საფრანგეთ-გერმანიის საიდუმლო მოლაპარაკებაზე მარკის კურსის დაცემათ. **დოლარის ფასი ოფიციალური—36.200.000, არაოფიციალური—80 მილ. მარკა.**

საფრანგეთის ელჩის შეხვედრა შტრეზემანთან.

ბორდო. 12 სექტემბერი. უკანასკნელ დღეებში საფრანგეთის ელჩმა ბერლინში მარეერიმ რამდენჯერმე ინახულა შტრეზემანი. ამტკიცებენ, რომ ამ შეხვედრის დროს არ იყო ჩამოყალიბებული გერმანიის მთავრობის მიერ რაიმე ოფიციალური წინადადება, ვინაიდან პასიური წინააღმდეგობა რურში გრძელდება, ხოლო საფრანგეთი მოლაპარაკების წინასწარ პირობათ აყენებს პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტას. ამის გამო საჭირო ხდება პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტა.

გერმანიის პრესა ფიქრობს, რომ პუანკარეს უკანასკნელი სიტყვა იძლევა საშუალებას დაწყებულ იქნეს მოლაპარაკება.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება ჯერ არა ოფიციალურია.

ბერლინი. 12 სექტემბერი. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო ოფიციალურათ უარყოფს ხმებს, თითქოს საფრანგეთმა ან ბელგიამ მიიღო რაიმე ნოტა გერმანიისაგან. გაზეთ „ფოსსიშე ცეიტუნგი“-ს ცნობით, მართალია მხოლოდ ის, რომ „საფრანგეთის ელჩს რამოდენიმეჯერ ჰქონდა საუბარი შტრეზემანთან, და ეს,—განმარტავს „ფოსსიშე ცეიტუნგი“,—ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულება უფრო ნორმალური გახდა“. **სოციალ-დემოკრატიულ და საპარლამენტო წრეებში ამბობენ, რომ ხმები მოლაპარაკების შესახებ უსაფუძვლო არ არის, ვინაიდან რეიხსკანცლერმა უკანასკნელ კვირაში სრულიად გარკვეულათ განაცხადა, რომ გერმანია რურის კონფლიქტის მოსაგვარებლათ მზათ არის შეთანხმება ჩამოაგდოს საფრანგეთთან.**

საიდუმლო მოლაპარაკების აშკარა ნიშნები.

ბერლინი. 12 სექტემბერი. საინტერესოა საფრანგეთ-გერმანიის საიდუმლო მოლაპარაკებასთან დაკავშირებული უკანასკნელი ზომები რურში ორივე სახელმწიფოს მხრით.

ფრანგებმა განკარგულება გასცეს, რომ კრუპპი და მისი საქმისთვის გასამართლებული კრუპპის ქარხნის სამი დირექტორი გადაყვანილ იქნან საპყრობილედან კერძო ბინაზე. მეორეს მხრით, პრუსსიის **შინაგან საქმეთა მინისტრი საოკუპაციო ოლქების სახელმწიფო მოსამსახურეებსა და გაზეთების რედაქტორებისადმი მიმართულ თავის ცირკულიარში მადლობას უხდის მათ ჩინებულ საქციელისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს 7 თვის წინააღმდეგობის განმავლობაში. ცირკულიარი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს გერმანიის მთავრობას სურს მოამზადოს მოსახლეობა ბრძოლის შეწყვეტისათვის.**

გერმანიის შერიგების ნოტას წუთიდან წუთამდე მოელიან.

პარიზი. 12 სექტემბერი. საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილება რურში პასიურ წინააღმდეგობის ხარჯთა შემცირების შესახებ ხელს შეუწყობს ახლო-მომავალში საფრანგეთ-გერმანიის უშუალო მოლაპარაკებას. დადის ხმები, **რომ საფრანგეთის მთავრობა მოელის გერმანიის ნოტის ამის შესახებ 48 საათის შემდეგ.** ამასთან ერთად საფრანგეთში თავს იჩენს მოძრაობა რეინის ოლქების გერმანიისაგან გამოყოფის სასარგებლოთ.

„ჟურნალ ინდუსტრიელ“-ი ფიქრობს, რომ შტრეზემანის ახალი რეფორმები ნაკლებ იმედს იძლევიან გამარჯვებაზე და ამიტომ რეინის პროვინციების მოსახლეობის გადმოხალისება საფრანგეთის მხარეზე ადვილი საქმეა.

იმავე გაზეთის აზრით ამ გარემოებას შეუძლია გამოიწვიოს საფრანგეთ-ინგლისის კონფლიქტი.

რა მისცა შტრეზემანის მთავრობამ გერმანიის მუშებს

მოსკოვი. 13 სექტემბერი. „ნაროდნი გოლოს“-ი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხემნიცის ორგანო, უკეთებს ჯამს შტრეზემანის და ჰილფერდინგის კაბინეტის—გერმანიის ბურჟუაზიის და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის კოალიციონური მთავრობის მონაპოვარს. ეს ჯამი დიდი ყურადღების ღირსია მუშების მხრივ, რადგანაც, როგორც ვიცით, გერმანიის სოციალ-დემოკრატია წარმოადგენს მთავრობის პარტიას.

„კავშირის შეწყვეტა არმიის და თეთრების არალეგალურ ორგანიზაციებს შორის“—ასეთი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთელი მუშათა კლასის და, მაშასადამე, გერმანიის ხალხის უმრავლესობის მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილება წარმოადგენს წინასწარ პირობას რესპუბლიკის დაცვისათვის, **მაგრამ სამხედრო მინისტრი გესლერი, რომელიც იცავს ამ კავშირს არმიასა და თეთრების ორგანიზაციებს შორის, რჩება თავის პოსტზე.** ტიურინგიის სასამართლო ანთავისუფლებს შეთქმულების მომწყობთ. სრულიად—იმპერიის სასამართლო არ სცნობს დამნაშავეთ თეთრების მეთაურს, როსბახს. მთავარსარდალს ნება ეძლევა მისცეს ჩვენება როსბახის წინააღმდეგ იმდენათ, რამდენადაც ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები: მას უბრძანებენ დაფაროს რესპუბლიკის საწინააღმდეგო არალეგალურ ორგანიზაციების კავშირი რესპუბ. არმიასთან. კანცლერი **შტრეზემანი,** რომელიც შეუდგა თანამდებობის შესრულებას, **მიემგზავრება ბავარიაში—კონტრრევოლიუციის მთავარ ცენტრში,** რაც ხაზს უსვამს ხალხის... (გაურკვეველია) კანონიერებას... ადგილობრივ თავისებურობას სხვადასხვა ოლქების, რომლებიც შედიან გერმანიის შემადგენლობაში (გაურკვეველია) **სამეურნეო რეაქციაც დაუძლეველია სახელმწიფო ბანკის დირექტორი გავენშტეინი, რომელიც მხარს უჭერს ნახშირის და რკინის მეფეებს და მემამულეებს, მიუხედავად სოციალ-დემოკრატების მოთხოვნისა, კვლავ ახერხებს მათთვის დახმარების გაწევას.** სოციალ-დემოკრატები მოითხოვდენ ფულების შეუჩერებელი ბეჭდვის შემცირებას. ამ ხნის განმავლობაში **ფულების გამოშვება გაასკეცდა. სახელმწიფო ბეჭდავს 50 ტრილიონ მარკას დღიურათ.** მარკით არაფერი არ იყიდება. კაპიტალისტები და მემამულეები არ იხდიან გადასახადებს, მაგრამ მათ არავინ არ აპატიმრებს.

სოციალ დემოკრატები მოითხოვდენ მთავრობიდან იმის უზრუნველყოფას, რომ ის კაპიტალისტებს ჩამოართმევს ვალიუტას, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებაა.

სახელმწიფო დღითი-დღე ღარიბდება, რადგანაც სამრეწველო ქაღალდების კურსი ათჯერ მაღლა იწევს ერთი დღის განმავლობაში. **გერმანიას მოელის კაპიტულიაცია საფრანგეთის წინაშე, მაგრამ იმ წარმოებებში, რომლებიც იმყოფებიან დაკავებულ ოლქებში, ფასები იწევენ, რაც იმას ამტკიცებს, რომ ბურჟუაზია შველას სთხოვს საფრანგეთის ხიშტებს.** პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასები დღითი დღე მატულობს. ისინი უსწრებენ მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასებს“.

წერილი თავდება ასე: „წინ გვიდგას ზამთარი. სიცივით სიკვდილის აჩრდილი გვიახლოვდება, ანარქიამ და ქაოსმა თავი წამოყო!“.

გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა

საგანგებო ბანკის დაარსება უზრუნველყოფილ ბანკნოტების გამოსაშვებათ.

ბერლინი. მინისტრთა კაბინეტმა ვალიუტის საკითხი გადასწყვიტა საგანგებო ბანკის დაარსებით. ბანკი გამოუშვებს ოქროთი, უცხოეთის ვალიუტით და საქონლის ვექსილებით უზრუნველყოფილ ბანკნოტებს, რათა ახალი ბანკი დამოუკიდებელი იქნეს იმპერიის ფინანსებისაგან, მას მიეცემა კერძო და დამოუკიდებელ ბანკის ხასიათი, თუმცა მისი კავშირი სახელმწიფო ბანკთან შენარჩუნებული იქნება. ქაღალდის მარკები დროებით დარჩება. მათი კურსის მიმართება ოქროს ბანკნოტებთან ჯერ აღნუსხული არ არის.

„შეჯიბრება ბაზრის ძალებთან“

„იზვესტია“-ს წერილი.

მოსკოვი. 12 სექტ. „იზვესტია“-ს მეთაურში ამ სათაურით ამხ. სტოკლიცკი სწერს:

„დადგა დრო, როდესაც ჩვენი სამეურნეო ორგანოები „აქტიურათ უნდა შეეჯიბრონ ბაზრის ძალებს“, როგორც ამხ. ცროცკიმ სთქვა პარტიის მე-12 ყრილობაზე. ყრილობაზე დასახული იყო რამოდენიმე კონკრეტიული ზომა მრეწველობის ნაწარმოებთა გასაიაფებლად და პურის ფასის ასაწევათ. გავიდა 4 თვე—დრო საკმარისი, იმისათვის, რომ სამეურნეო მუშაკების შეგნებაში ჩაინერგოს პროდუქციის რეალურ დაწევისათვის ყრილობის მიერ ნაჩვენებ ზომების აუცილებლობა.

მაგრამ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი არ უწევს ჯერ ანგარიშს პარტიისა და სახელმწიფოს მიერ აღებულ გზას, საქარხნო საგანთა ფასები მატულობენ, პურის ფასები კი ეცემა. ეს აიხსნება მრეწველობის მისწრაფებით, რომ დეფიციტი დაიფაროს არა წარმოების გადიდების, არამედ მყიდველის ხარჯზე. ასეთი მოვლენის მოთმენა შეუძლებელია, საჭიროა კონკრეტიული ზომები საბჭოთა მთავრობის მხრით ფასების არანორმალურ ზრდის შესაწყვეტათ, გლეხობა უკიდურესად საჭიროებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. საწყობებში ჩვენ გვაქვს დიდძალი რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, მიუხედავათ ამისა, მათი გასაღება ბრკოლდება. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ სასოფლო-მეურნეობის საგანთა სინდიკატმა ასწია იარაღისა და მანქანების ფასი 80 პროცენტით მშვიდობიანობის დროის ფასებთან შედარებით. მითითება კრედიტებისა და საბრუნავ კაპიტალის უქონლობაზე და ნედლი მასალის გაძვირებაზე ვერ გაამართლებს ჩვენს სამეურნეო ორგანოებს, რომლებიც თავის საუწყებო ინტერესებს იცავენ და რომლებსაც მყიდველზე გადააქვთ თავისი დეფიციტი. სამეურნეო ორგანოები არ იყენებენ სავსებით საქონლის გადიდების შესაძლებლობას. გარანტიული კრედიტი—ჩეკების ტრიალი და გადატანის (переводные) ვექსილები—ჯერ არ არის განხორციელებული. ნიჟეგოროდის ბაზრობის ბრუნვის ზრდა და ზრდა შინაგან ბაზრის სივრცისა ამტკიცებს, რომ კარგად მოწესრიგებულ გასაღების პირობებში, ფასების ნორმალური განწყობილება არ დაუშლის საქონლის ბრუნვის გაძლიერებას.

შეუძლებელია ფასების არანორმალურ ზრდის მოთმენა. ფასების რეგულიაცია სასწრაფოთ უნდა იქნეს განხორციელებული. იმედი გვაქვს, რომ შემოდგომის სავაჭრო სეზონი უამისოთ არ იქნება ჩატარებული. ჩვენი მეურნეობის მუშაკები შეეჯიბრებიან ბაზრის ძალთა განწყობილებას“.

სოციალ-დემოკრატების საოლქო კონფერენცია

ზევერინგის სიტყვა.

მთავრობა იბრძვის უკიდურეს მიმდინარეობის წინააღმდეგ.

ბერლინი. 12 სექტემბერი. სოციალ-დემოკრატების საოლქო კონფერენციაზე ბერლინში მთავარ მომხსენებლად გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი ზევერინგი, რომელმაც განაცხადა, რომ კომუნისტების წინააღმდეგ არ იქნება გამოცემული განსაკუთრებული კანონები. „უკიდურეს მემარცხენეთა მიმართ საჭიროა მიღებულ იქნეს ისეთი ზომები, როგორიც უკიდურეს მემარჯვენეთა მიმართ“. ზევერინგის სიტყვით, მთავრობის მიერ ზომების მიღება საჭიროა პროლეტარულ რაზმების წინააღმდეგ, ვინაიდან, სამწუხაროთ, სოციალ დემოკრატ მუშების ნაწილი თანაუგრძნობს პროლეტარულ თავდაცვის იდეებს“.

კრისპინის სიტყვა.

პროლეტარიატის გასამარჯვებლად საჭიროა ბრძოლა.

თანამომხსენებელმა კრისპინმა, შეუფარდა რა თავისი სიტყვა მუშათა მასების განწყობილებას, განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას და მცირე ყურადღებას მუშათა საკითხს **ამავე დროს პროლეტარიატის უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები მიღწეულია არა პარლამენტარიზმის, არამედ აშკარა ბრძოლის საშუალებით. სტიქიური მოძრაობა აუცილებლად იფეთქებს სახელმწიფოებრივ ძალაუფლების ყოველგვარ ღონისძიების წინააღმდეგ.** შემდეგ კრისპინმა სთქვა, რომ ნაციონალისტების მუქარის საპასუხოთ, საჭიროა მუშათა კლასის აქტივობის დაპირდაპირება. ბურჟუაზიასთან კოალიცია უნდა შეიცვალოს მუშათა კოალიციამ ბრძოლის ორიენტაციასთან.

ცეინგერსა და გესლერს შორის მომხდარ კონფლიქტის განხილვა.

კრისპინის მოხსენების შემდეგ კონფერენცია, მიუხედავათ პრეზიდიუმის წინააღმდეგობისა, გადავიდა საქსონიის პრემიერის ცეინგერის და სამხედრო მინისტრის გესლერის შორის მომხდარ კონფლიქტის განხილვაზე. გესლერი ამტკიცებდა კავშირს რეიხსვერის და ფაშისტების შორის და ხელს უწყობდა კავშირს ლიუდენდორფთან და მონარქისტ-გენერლებთან. ზეიერმა აღნიშნა, რომ სოც.-დემ. პარტიის ცეკამ მცირე დახმარება გაუწია ცეინგერს გესლერთან კონფლიქტის დროს. საპასუხო სიტყვაში, რომელსაც აწყვეტინებდენ საპროტესტო რეპლიკებით, ზევერინგმა აღნიშნა, რომ საჭიროა დაფარულ იქნეს გესლერის და ცეინგერის შორის მომხდარი კონფლიქტი საზოგადოებრივ აზრის წინააღმდეგ და წინადადება წარადგინა არ იქნას გამოტანილი რეზოლიუცია ამ კონფლიქტის შესახებ. კონფერენციამ გადასწყვიტა წინადადება მისცეს ცეინგერს ჩამოვიდეს ბერლინში 23 სექტემბრისათვის. ამ რიცხვამდე კონფერენციის მუშაობა შეწყვეტილი იქნება.

ტიურინგიაში

მემარცხენე ელემენტები შევლენ ტიურინგიის მთავრობაში.

ბერლინი. 12 სექტ. ტიურინგიაში მემარცხენე პარტიებმა და კომუნისტებმა შეიტანეს წინადადება სოციალ-დემოკრატიული მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ მთავრობამ მიმართა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს შეკითხვით იმის შესახებ, დაიწყონ თუ არა მოლაპარაკება კომპარტიასთან მთავრობისათვის მხარის დაჭერის შესახებ, რაზედაც ადგილობრივმა ორგანიზაციებმა დადებითი პასუხი გასცეს. მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის გამოიწვევს მემარცხენე ელემენტების შესვლას ტიურინგიის მთავრობაში.

ტიურინგიის ფაშისტები ამუშავდენ.

ბერლინი. 12 სექტ. მიუხედავად ტიურინგიის მთავრობის წინადადებისა, ფაშისტებმა სცადეს ფაშისტური დღის გატარება გოტში. მოგროვილ ხალხს ერეკებოდა პოლიცია. კომუნისტებმა გამართეს ანტი-ფაშისტური დემონსტრაციები.

ლანდტაგის კომუნისტ-დეპუტატის დაპატიმრება.

ბერლინი. 12 სექტ. ლანდტაგის დეპუტატი კომუნისტი შულცი დააპატიმრეს შტეტინში. „როტე-ფანეს“ ცნობით, მას დაადეს ბორკილები და გაგზავნეს ციხეში.

დე-მონზი ამზადებს რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკებას.

პარიზი. 12 სექტემბერი. დე-მონზის განზრახული აქვს ახლო მომავალში გამოაქვეყნოს მთელი რიგი წერილებისა რუსეთში მგზავრობის შესახებ, ჟურ-ჟერობით კი მან აღნიშნა რუსეთის ეკონომიური აღორძინების აუცილებლობა და განაცხადა, რომ საჭიროა წინასწარ გამორკვეულ იქნეს საფრანგეთის პოზიცია.

რუსეთ-ჩინეთის მეგობრობა მტკიცდება.

პეკინი. 12 სექტ. კარახანის საპატივსაცემოთ ყოველდღე იმართება ბანკეტები სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ. პეკინის სტუდენტთა კავშირის მიერ კარახანის საპატივცემოთ გამართულ ბანკეტზე კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთელს ქვეყანაზე ჩინეთს ყავს ერთი მეგობარი—ს. ს. რ. კ., რომელიც დაეხმარება მას ეროვნულ განთავისუფლების საქმეში.

პეკინის უნივერსიტეტის პროფესორების მიერ კარახანის საპატივსაცემოდ გამართულ ბანკეტს დაესწრო 40 პროფესორი. უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ელჩის ისე მხურვალეთ მიღება გამოწვეულია იმ მჭიდრო კავშირით, რომელიც არსებობს ამ ორ ხალხს შორის, რადგან ორივე ისინი იტანჯებიან იმპერიალისტურ უღელს ქვეშ. ს. ს. რ. კ. სახეში ჩინეთი ხედავს ერთად ერთ მეგობარს, რომელთან ერთად მას შეუძლია ბრძოლა აწარმოოს ჩინეთის მჩაგვრელ იმპერიალისტების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი და ბულგარეთი

ს. ს. რ. კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარის ნოტა ბულგარეთის მთავრობისადმი

მოსკოვი. 13 სექტემბერი. გარეშე საქმეთა სახ. კომისარი ჩიჩერინი ბულგარეთის გარეშე საქმეთა მინისტრ კალფოვისადმი მიმართულ ნოტაში აღნიშნავს, რომ **საბჭოთა მთავრობა გადაჭრით მოითხოვს ბულგარეთის მთავრობის მიერ მოკლულ შელეპუგინის ოჯახის სასარგებლოთ 20.000 ოქრ. მანეთის გადახდას. ვარნის პოლიციის პრეფექტი, რომელმაც უკანონოთ დააპატიმრა და სცემა რუსეთის გემის „იგნატი სერგეევის“ კომისარი და რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა რეპატრიანტებს, უნდა იქნას დათხოვნილი სამსახურიდან და მიეცეს პასუხისგებაში. რუსეთის თეთრგვარდიელები, ბულგარეთის თანამდებობის პირნი და სხვა დამნაშავენი უნდა იქნან მიცემული სამართალში.**

საბჭოთა მთავრობა გამოსთქვამს რწმენას, რომ რუსეთის თეთრგვარდიელთა ყველა შტაბები, რომელთა დანაშაული დამტკიცებული იქნება, უნდა განიდევნონ ბულგარეთის საზღვრებიდან და თანახმაა გაიგზავნოს ბულგარეთში სარეპატრიაციო კომისია იმ პირობით, თუ მას ოფიციალურად მიანიჭებენ დიპლომატიურ ხელშეუხებლობას, ამასთანავე ურთიერთობის საფუძველზე უარს არ იტყვის მოხდეს ბულგარეთის მოქალაქეთა რეპატრიაცია რუსეთში.

კომინტერნის ხელმძღვანელ მოღვაწეთა ორგანიზაციის გამოსვლის შესახებ, საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ კომინტერნი არ ემორჩილება საბჭოთა მთავრობას და ამიტომ არ შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა მისი მოღვაწეების მიერ წარმოთქმულ სიტყვებისათვის.

შეთანხმების მიღწევის შემდეგ, საბჭოთა მთავრობა გაგზავნის ვარნაში რწმუნებულებს რეპატრიაციის საკონტროლოდ ან მიანდობს ამას სარეპატრიაციო კომისიას, რომელიც ბულგარეთში გაემგზავრება.

მიწის ძვრა იაპონიაში

კატასტროფის შედეგების გამორკვევა.

კობე. 11 სექტ. მრავალ უნაყოფო ცდების შემდეგ, რომელიც გამოწვეული იყო იაპონიაში მიმოსვლის სიძნელით, „როსტას“ კორესპონდენტმა, ბოლოს, მოახერხა მაინც იოკოგამაში და კობეში ჩასვლა.

ტოკიოს მუნიციპალიტეტთან არსებულ კატასტროფის შედეგების გამომრკვევ კომისიის ცნობით, ტოკიოში **მიწის ძვრისაგან არ დაზარალებულა მხოლოდ 780.000 კაცი, დანარჩენები—1.500 000 კაცი, რაც შეადგენს ტოკიოს მოსახლეობის 64 პროც.—ასე თუ ისე დაზარალდა.** უბინაოთ დარჩენილები თავმოყრილნი არიან სკოლებში, ტაძრებში, სასახლეებში, ბაღებში და კერძო სახლებში. უცხოელებიდან დაიღუპა 100 კაცი. კრემატორიაში ერთი დღის განმავლობაში დაიწვა 80 გვამი.

კონტროლი პირველ საჭიროების საგნებზე.

კობე. 11 სექტ. მთავრობამ გადასწყვიტა იკისროს კონტროლის გაწევა პირველ საჭიროების საგნების და სურსათ-სანოვაგის განაწილებაზე. იმპერატორის დეკრეტის თანახმათ შემოსატანი ბაჟი ბრინჯზე, ხორცზე და კვერცხებზე გაუქმებულია.

სხვადასხვა

ნორვეგია

ფაშისტურ მოძრაობის ზრდა.

ქრისტიანია. 12 სექტ. ნორვეგიაში ძლიერდება ფაშისტური მოძრაობა. „საზოგადოებრივ დახმარების“ გარდა, ახლა ამოქმედდა „საზოგადოებრივ თავდაცვის ორგანიზაცია“-ც. კრებებზე ფაშისტურ აგიტაციას ეწევიან.

ირლანდია

ფაშისტების ლეგიონები ირლანდიაში.

ლონდონი. 12 სექტ. დუბლინში მოეწყო ირლანდიელ ფაშისტების ლეგიონები, რომელიც მიზნად ისახავს გააერთიანოს სამხრეთ ირლანდიის ყველა პარტიები ულსტერის წინააღმდეგ.

ერთა ლიგაში.

ბერლინი. 12 სექტემბერი. ჟენევიდან იუწყებიან, რომ ერთა ლიგამ ერთხმად დაადგინა ერთა ლიგის წევრად მიიღოს ირლანდია.

ინგლისი

ინგლისის ფაშისტების ამოძრავება.

ლონდონი. 12 სექტემბერი. ინგლისში დაარსდა მეორე ფაშისტური ორგანიზაცია შემდეგი სახელწოდებით „ინგლისის ფაშისტების მოძრაობა“, რომელიც მიზნად ისახავს კონსტიტუციის მოსარჩლეობას და კომუნისტებთან ბრძოლას.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ლატვია

ტრამვაის მუშაკთა გაფიცვა.

რიგა. 12 სექტემბერი. სექტემბრის 10-დან დაწყებული ტრამვაის მუშათა გაფიცვა რიგაში კვლავ გრძელდება. მუშები თხოულობენ ხელფასის გადიდებას 20 პროცენტით. ტრამვაი მესამე დღეა არ დადის.

სამხრეთ-სლავია.

რეპრესიები გაფიცულთა წინააღმდეგ.

ვენა. 12 სექტემბერი. სამხრეთ-სლავიის მთავრობა სცდილობს გაფიცვა ჩააქროს ტრიფაილში. ამისათვის იქ თავი მოუყარა სამხედრო ძალას და დაატუსაღა გაფიცვის კომიტეტი. მარიმორში აგვისტოს გასულს 2000 რკინისგზის სახელოსნოთა მუშამ პასიური წინააღმდეგობის გასაწევად გაფიცვა გამოაცხადეს, მოითხოვეს ხელფასის მომატება და სახელოსნოებიდან სამხედრო ძალის გაყვანა. სოციალ დემოკრატია და კლერიკალები გაფიცვის წინააღმდეგნი არიან. გაფიცვას ხელმძღვანელობას უწევს დამოუკიდებელი კავშირები. გაფიცულებისათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად მარიბორისა და ლიუბლინის თამბაქოს ქარხნის მუშებმა პასიური წინააღმდეგობა გამოაცხადეს.

ინგლისი

[illegible]

პროტესტი რურის ოკუპაციის გამო.

ლონდონი. 12 სექტემბერი. ტრედ-უნიონისტების კონგრესის დასასრულს საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანეს რურის ოკუპაციის გამო, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული მტრობის გაღვივებას და ახალი ომიანობის მომზადებას. კონგრესი მიჰმართავს საფრანგეთისა და ბელგიის მუშებს და მოუწოდებს, რათა წინააღუდგნენ თავთავიანთ მთავრობების პოლიტიკას. ტრედუნიონთა გენერალურმა საბჭომ აღუძრა გადასინჯვა საკითხისა ინგლისის ჯარის დატოვების შესახებ საოკუპაციო ოლქებში და წინადადება მისცა მთავრობას, ჯარები გამოიყვანოს იმ ოლქებიდან.

რკინისგზელთა სახელით ტომასმა მოიწონა წინადადება, რათა მთელს სახელმწიფოში მოეწყოს საპროტესტო დემონსტრაციები, რათა პროლეტარიატში გაეღვიძოს ოკუპაციის შედეგების მიმართ ინტერესი. „მორნინგ პოსტ“-ი აღნიშნავს, რომ საუკეთესო სიტყვები კომუნისტებმა წარმოსთქვესო.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი.

მთლიანი შრომის სკოლის ახალი პროგრამა.

მოსკოვი. 13 სექტემბერი. განათლების სახალხო კომისარიატმა გამოსცა ახალი პროგრამები პირველ და მეორე საფეხურის ერთიანი შრომის სკოლისა. სწავლის კურსი სამ ძირითად დარგად იყოფა: ბუნება, შრომა და ადამიანთა საზოგადოება.

ხორბლეულისა და სამერძეო წარმოების გაზიდვის მონოპოლია.

მოსკოვი. 13 სექტემბერი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ „ექსპორტხლებს“ მონოპოლია მიანიჭა პურეულისა და მერძეობის ნაწარმოებთა გაზიდვისა.

წითელ ჯარში გაწვეულთა შეღავათები.

მოსკოვი. 13 სექტემბერი. შრომის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა დებულება, რომლის ძალითაც ჯარში სასწავლებლად და შემადგენლობის შესანაცვლებლად გაწვეულებს ენახებათ თანამდებობა და ადგილი გაწვევის მთელი დროის განმავლობაში, თუმცა უკა მაგიეროდ კი. შრომის ბირჟის აღრიცხვაზე მყოფნი გაწვევის ყაველის გათავების შემდეგ კვლავ თავის ადგილს უბრუნდებიან.

სპარსეთის მეჯლისის დეპუტატების აზრი.

მოსკოვი. 13 სექტემბერი. მოსკოვში ჩამოსულმა, სპარსეთის მეჯლისის დეპუტატმა არბაბ-კეი ხოსროემ, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, განაცხადა, რომ მან ჩინებული შთაბეჭდილება მიიღო საბჭოთა რუსეთში ყოფნის.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ამხ. სვერდლოვის ჩამოსვლა.

ბაქო. 12 სექტ. ბაქოში ჩამოვიდა და ტფილისისაკენ მიემგზავრება გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, სამთომადნო წარმოების მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. სვერდლოვი. მისი ჩამოსვლის უმთავრესი მიზანი არის კავშირი გააბას აზერბეიჯანის ნავთის სამრეწველოს მთავარ სამმართველოსა და სამთომადნო მრეწველობის მთავარ სამმართველოს შორის. ტფილისში სახალხო კომისართა საბჭოსთან ერთად გადაწყდება მთელი წყება საკითხებისა, საქართველოს სამთომადნო წარმოების შესახებ. ჩამოსვლის დღეს, ამხ. სვერდლოვმა სიტყვა წარმოსთქვა სამთომადნო მუშა-მოსამსახურეთა კავშირის კონფერენციაზე ბალახანა-საბუნჩის უბანში. მან სხვათა შორის, აღნიშნა, რომ სამთომადნო მრეწველობის მთავარ სამმართველოს უმთავრეს მიზანს შეადგენს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ გამოიწვევს წარმოების ბარაქიანობას.

მუშები დარაჯობენ რესპუბლიკის ქონებას.

ბაქო. 11 სექტ. ამ დღეებში, ბუდენის სახელობის ნავთის სამრეწველო მეხუთე ქარხანაში მოტორს ღვედი გადმოუხლტა და ჰაზის მიმწოდებელში ცეცხლი გაჩნდა. თუმცა ეს ცეცხლი ისეთი საშიშიც არ იყო, მაგრამ მიცემულ ნიშანზე იქ გაჩნდა არა მარტო ქარხნის მუშები, არამედ ადმინისტრაციაც. სამთომადნო კავშირის აზერბეიჯანის განყოფილება აღნიშნავს ამ შემთხვევას, როგორც მუშებისა და მოსამსახურეების შეგნების მაჩვენებელს, რომლებიც უფრთხილდებიან რესპუბლიკის ქონებას.

ამხ. ლენინის სახელობის ქარხანაში.

ბაქო. 12 სექტემბერი. ამხ. ლენინის სახელობის საჩქითაო ქარხანაში,

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი

იტალიაში

კიდევ საბაბი.

ბერლინი. 13 სექტ. რომის გაზეთების ცნობით, იტალია კორფუს ევაკუაციის აუცილებელ პირობათ წამოაყენებს იტალიელ ოფიცერთა მკვლელობის გამომძიების წარმატებით დასრულებას.

დიდათ მნიშვნელოვანი განცხადება.

ლონდონი. 13 სექტ. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მუსოლინიმ განაცხადა, რომ იტალია დარჩება კორფუში მანამდი, სანამ საბერძნეთი არ შეასრულებს ყველა თავის ვალდებულებას და რომ **იტალია უარს ამბობს კორფუს ევაკუაციის გარკვეული ვადის დანიშვნაზე.**

ელჩთა კონფერენციის შეკითხვა

ბერლინი 13 სექტ. ელჩთა კონფერენციამ წინადადებით მიმართა მუსოლინის, აღნუსხოს დანამდვილებით ვადა 18 და 25 სექტემბრის შუა,—როდის შეუძლია საბერძნეთს მისცეს იტალიას დაკმაყოფილება და როდის დაიწყებს უკანასკნელი კორფუს ევაკუაციას. მოელიან იტალიის მთავრობის ოფიციალურ პასუხს. იტალიის პრესა აღნიშნავს, რომ სანამ ეს ვადა დანიშნული იქნებოდეს, საჭიროა დამთავრდეს იანინთან მომხდარ მკვლელობის გამოძიება.

მუსოლინის განცხადება.

რომი. 13 სექტ. გაზეთ „დეილი მეილი“-ს სპეციალურმა კორესპონდენტმა ინტერვიუ გაუკეთა მუსოლინის, რომელმაც განაცხადა, რომ იგი ძლიერ გულნატკენია ინგლისის საზოგადოებრივ აზრის მტრულ პოზიციით საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტში და რომ იტალია არ იქნება დამნაშავე, თუ ინგლის-იტალიის ურთიერთ დამოკიდებულება გაუარესდება.

საბერძნეთში

საბერძნეთი მოითხოვს სამართლიანობას.

პარიზი. 11 სექტ. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საპასუხო ნოტაში ელჩთა კონფერენციის მიმართ, საბერძნეთის მთავრობა თანახმაა კონფერენციის ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ხოლო დაჟინებით მოითხოვს კორფუს დაუყოვნებლივ ევაკუაციას.

საბერძნეთი ცდილობს შექმნას ნორმალური ურთიერთობა იტალიასთან.

პარიზი. 11 სექტ. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ათინის სავაჭრო პალატამ გააუქმა გადაწყვეტილება იტალიის საქონელზე ბოიკოტის დადების შესახებ.

კუნძულ კორფუზე

იტალია მაგრდება კორფუზე.

ბერლინი. 11 სექტემ. **რომიდან მიღებული ცნობით, იტალიის ჯარებმა დაიკავეს კუნძული ლეროსი.** კორფუზე იტალიელებმა მოაწყვეს საკუთარი საფოსტო განყოფილება, სადაც მსახურობენ იტალიელები. საკითხს კორფუს ევაკუაციის ვადის შესახებ შეუძლია კვლავ გაართულოს მდგომარეობა.

„ტაიმსი“ და „დეილი ტელეგრაფი“ ნახევრად ოფიციალურ იტალიურ ცნობებიდან დაასკვნიან, რომ **იტალიას განზრახული აქვს დარჩეს კორფუზე, სანამ საერთაშორისო სასამართლო არ გამოარკვევს იტალიელ ოფიცრების მოკვლის ასანაზღაურებელ თანხას, რაც მოხდება მხოლოდ რამოდენიმე თვის შემდეგ.**

ინგლისურ ცნობებში ნათქვამია, რომ იტალიას განზრახული აქვს მოაწყოს კუნძულ კორფუზე იტალიის საბაჟო სამმართველო და ღებულობს სამხედრო ზომებს იმისათვის, რათა კუნძულები მის ხელში იყოს გირაოს სახით.

ბერძნები სტოვებენ კორფუს.

ვენა. 11 სექტ. რუმინეთის გაზეთების ცნობით, საბერძნეთის მთავრობამ უბრძანა კუნძულ კორფუს ყველა თანამდებობის პირებს დასტოვონ კორფუ.

ერთა ლიგის შუამავლობა

„საერთაშორისო შეთქმულებათა“ ლიგა.

ბერლინი. 13 სექტემ. გაზეთები **„პოპოლო დ'იტალია“ (ფაშისტების ოფიციალური ორგანო) და „ტრიბუნა“ (მთავრობის ოფიციოზი) მოითხოვენ, რომ იტალია გამოვიდეს ერთა ლიგის შემადგენლობიდან და მით „ხელები გაიხსნას“.** „პოპოლო დ'იტალია“ ერთა ლიგას უწოდებს „საერთაშორისო შეთქმულებათა“ ლიგის სახელს, რომელიც ხელს უშლის ცალკე სახელმწიფოთა თავისუფალ მოქმედებას.

ლიგას მცირე რამ აკმაყოფილებს.

რომი. 13 სექ. ელჩთა კონფერენციამ, განიხილა რა საბერძნეთისა და იტალიის პასუხი კონფერენციის ნოტაზე მისი გადაწყვეტილების შესახებ, გამოიმუშავა იტალიელ ოფიცერთა მკვლელობის გამოძიების წესრიგი და აცნობა ამის შესახებ ერთა ლიგას. უკანასკნელმა მადლობა გადაუხადა ელჩთა კონფერენციას თავისი გადაწყვეტილების ცნობისათვის და სთხოვა კონფერენციას დაიცვას მასთან კონტაქტი გამოძიების წარმოების დროს.

ერთა ლიგას ეშინია.

ბერლინი. 13 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭოს სხდომის გახსნისას, რომელზედაც უნდა გარჩეულიყო იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი, თავმჯდომარე იშიმამ (იაპონიის დელეგატმა) წამოაყენა წინადადება ამ საკითხის განხილვის გადადების შესახებ, რათა აცილებულ იქნას ზოგიერთი გართულება, რომელსაც შეუძლია დააბრკოლოს საკითხის მშვიდობიანი მოგვარება. ლიგის საბჭომ ეს წინადადება მიიღო.

ფიუმეს საკითხი

სამხრეთ-სლავია კვლავ აბრკოლებს ზავს.

ვენა. 12 სექტ. კორფუს დაკავებაის გამო, სამხრეთ-სლავიამ, რომელიც დათანხმდა უკვე ფიუმეს გადაცემაზე იტალიისა და სამხრეთ-სლავიის კონსორციუმის გამგებლობისათვის, კვლავ მოითხოვს რაპპალოს ხელშეკრულების პირობების შესრულებას. სამხრეთ-სლავიის მთავრობა უკან იწვევს რომში მოლაპარაკებისათვის გაგზავნილ თავის დელეგაციას. პუანკარემ თავისი შუამავლობის წინადადება მისცა პაშიჩს და ამიტომ სამხრეთ-სლავიის მთავრობამ წინადადება მისცა იტალიის მთავრობას გადადებულ იქნას 15 სექტემბრისთვის დანიშნული ულტიმატუმის ვადა.

პარალელურათ სამხრეთ-სლავიის მთავრობას განზრახული აქვს მოავაროს საბერძნეთთან ერთად სალონიკეში თავისუფალ ნივთსადგურის შექმნის საკითხი. რომელშიაც, საბერძნეთის ფინანსთა მინისტრის განცხადებით, შეთანხმება უკვე მიღწეულია.

იტალიის „მშვიდობიანობის მოყვარეობა“.

რომი. 12 სექტემბერი. „დეილი მეილი“-ს კორესპონდენტთან საუბარში მუსოლინიმ განაცხადა, რომ ინგლისს შეუძლია იქონიოს იტალიის მეგობრობის იმედი მხოლოთ იმ შემთხვევაში თუ დაცული იქნება იტალიის ინტერესები და თანასწორობის საფუძველი საზოგადოთ და კერძოთ, ფიუმეს საკითხში. იტალია მშვიდობიანობის ინტერესებისათვის ცდილობს მოაგვაროს საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

რუსეთ-ნორვეგიის სანაოსნო საზოგადოების მუშაობა

ქრისტიანია. 12 სექტემბერი. რუსეთ-ნორვეგიის სანაოსნო საზოგადოებამ შეიძინა საზოგადოება „ბერგენ ლლოიდ“-დან გემი, რომლის ტვირთამზიდველობა უდრის 250 ტონს, თეთრ ზღვაზე მიმოსვლისათვის.

სიტყვა, წარმოთქმული ამხ. მიხა ცხაკაიას მიერ სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობაზე *)

26 აგვისტოს, საღამოს კრებაზე

მ. ცხაკაია. ამხანაგებო! ჩემის პირით სალამს გიძღვნით თქვენ საქართველოს კომპარტია, ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები რ. კ. პ. (რუსეთის კომუნისტური პარტია) და კომინტერნი (კომუნისტური ინტერნაციონალი)... აგრეთვე საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა, ამიერ-კავკასიის სოციალისტური საბჭოთა ფედერაციისა და სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების დიდი **კავშირის** სახელით გულწრფელ და მხურვალე სალამს მოგიძღვნით **დროზე** და ასე მასსიურად უკან დაბრუნებისათვის ჩვენს რიგებში, საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის კადრებში, და მით საერთო ფრონტის აღდგენისათვის... გამარჯვება და სალამი თქვენ, ძმებო და მეგობრებო, ჩემგან (ტაში)...

მომეცით ეხლა ნება შედარებით მოკლე სიტყვაში გადავავლო თვალი ჩვენს წარსულს, რომ მით აწმყო ნათელ ვყოთ და დიდებული მომავლისათვის შრომასა და ბრძოლას მედგრად და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ერთად შევუდგეთ (ტაში)...

⁂

პირველი საკითხი: რა არის ბოლშევიზმი?

ეს იგივე ჭეშმარიტი სოციალიზმია, იგივე კომუნიზმია, რევოლიუციონური დიალექტიური მეთოდით, ესე იგი ჭეშმარიტი მარქსიზმით ხელმძღვანელი...

მისი დასაწყისი ჩვენში, ე. ი. არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერ-კავკასიაში და მთელ ყოფილ დიდი რუსეთის იმპერიაში, იწყება ჩრდილოეთ რუსეთისა და სამხრეთ რუსეთის ორ მუშურ ორგანიზაციებში გასულ საუკუნის 70-80 იან წლებში... ეს იყო ცდა ახალ რევოლიუციონურ კლასიური მსოფლ-ხედველობისა და გზის მოძებნისა „ნაროდნიკ-ნაროდოვოლცების“ ყოველ მხრივ—თეორიულადაც და პრაქტიკულად—გაკოტრების შემდეგ... ეს მოძრაობა—მიმდინარეობა დააგვირგვინა და, ასე ვთქვათ, იმ დროისათვის შესაფერი მეცნიერული მარქსისტული დასაბუთება და გამოსახვა მისცა მას საზღვარგარეთულ ემიგრანტების პატარა ჯგუფმა, **„შრომის განთავისუფლების ჯგუფმა“** 80-იან წლების ნახევარში.

იმავე დროს, იმავე 80-იან წლებში, ჩვენ აქ ყოფილ მეფის იმპერიის საზღვრებში, თითო-ოროლამ, ეგრედ წოდებულ „ძველი გვარდიიდან“, უმეტეს ნაწილად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად,—მეფის მეტად დიდი სახელმწიფოს ფარგლებში, რომელიც მაშინ შეიცავდა ფინლანდიასა, მთელი ბალტიის მხარეს, პოლონეთით, უკრაინას,—კავკასიასა, იმიერ კასპიის მხარეს, ტაშკენტს, ციმბირს და შორეულ აღმოსავლეთს—პეტროგრად მოსკოვის დიდ რუსეთთან ერთად,—რევოლიუციონურ მარქსიზმის მასსიურ პროპაგანდისათვის ნიადაგის მომზადებას ხელი შევუწყვეთ მით, რომ თვით ვემზადებოდით და ჩვენს გარშემო თითო-ოროლა თანამოაზრე მუშა-გლეხებს მაინც ვამზადებდით ქალაქებსა და სოფლებში...

⁂

ამნაირად, საზღვარგარედ იყო, ასე ვთქვათ, თეორია, რომელიც მაშინდელ პირობებში იშვიათად ჩვენთან აღწევდა... მაგრამ **უთეორიოთ**, ჩვენი „ინდივიდუალური“ პრაქტიკა, საზღვარგარეთის თითქმის სრულიად დამოუკიდებლად, ჩვენის თეორიით დაახლოვებით იმავე გზაზე გამოვიდა, რასაც „თეორიით“ დაადგა „**შრომის განთავისუფლების ჯგუფი**“.

მაშასადამე, ჩვენი პრაქტიკა და „ემიგრანტების“ თეორია 80-იან წლებისა ერთმანეთს შეხვდენ და შეერთდენ, რომ ერთმანეთი შეესწორებინათ და წინ წასულიყვნენ უფრო ღრმად, მარქსისტულ-რევოლიუციონურ განვითარებისაკენ,—რომ მომავალი დიდი ბრძოლისათვის შეგვექნა დიდი პარტია პროლეტარიატისა,—როგორც ბელადი ამ ბრძოლისა...

ამიტომ, შეიძლება კატეგორიულად განვაცხადოთ, რომ 1889 წლის მეორე ინტერნაციონალის პირველ კონგრესზე პარიზში, გიორგი პლეხანოვი ჭეშმარიტი წარმომადგენელი იყო მომავალი დიდი რევოლიუციისა, ჩვენი მაშინდელი მრწამსისა და სულის-კვეთების **გამომხატველი**, როცა მან განაცხადა: **„რუსეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს როგორც მუშათა რევოლიუცია, ან ის სულ არ იქნება“**-ო.. რასაკვირველია, მშვენიერი ფრაზის უბოლოდ, უდილლემოდ ასეთი ვიყავით მაშინდელ მოწინავე რაზმების ავანგარდი—80-იან წლების მიწურულში...

აი, სად არის ახსნა იმისა, რომ შემდეგ ათეულ წლებში, 90-იან წლებში—ჩვენ ადვილად მოვახერხეთ ქალაქის მოწინავე მუშებში მარქსისტულ წრეებისა და ჯგუფების შექმნა... და ბოლოს 1898 წელს თვით პარტიის პირველი ყრილობა მოეწყო და დაიბადა **ის „მონათლული“ რ. ს. დ. რ. პ.**—ეს სახელწოდებით.

⁂

ამის შემდეგ—1898—1903 წლებში პარტია დიდათ გაიზარდა, მიუხედავათ იმისა, რომ მას „თავი“ არ ქონდა, არ ჰყავდა ცეკა...

მაგრამ იყვნენ მსხვილი ორგანიზაციები:— სამხრეთ-რუსეთში — ეკატერინოსლავში, ჩრდილოეთ-რუსეთში—პეტროგრადისა და რუსეთის შუაგულში—მოსკოვისა... მათ დიდებულად აასრულეს დროს შესაფერი დიდი როლი—**შემოჯგუფება თავის გარშემო ყველა შედარებით ახლომახლო რაიონებისა** და თავის გავლენის ქვეშ მათი მოზიდვა. ყველაზე მეტად ეს როლი აასრულა 1898—1900 წლებში **ეკატერინოსლავის ს. დ. ორგანიზაციამ** თავის გამოცემა—**„სამხრეთის—მუშა“ („Южный рабочий“)** სთან ერთად, შემოიჯგუფა რა მთელი სამხრეთი...

ეს მოძრაობაც, ე. ი. ჩვენი პრაქტიკა,—დიდი მუშაობა 1890—1903 წლების მთელი მაშინდელი მეფის დიდ სახელმწიფოს სინამდვილეში თეორიულად, ასე ვთქვათ, **დაბოლოებით** დააგვირგვინა ისევ საზღვარგარეთის ემიგრანტების, ამ შემთხვევაში მრავალ რიცხოვანი 80-იან წლებთან შედარებით,—„ჯგუფმა“ ჩვენი **ილიჩის**, ამხ. ლენინის მეტად აქტიური მონაწილეობით...

ეს ჯგუფი იყო ძველი „ისკრის“ („ნაპერწკალი“) და „ზარიას“ („განთიადი“-ს) ჯგუფი“...

პარტიის მეორე ყრილობა 1903 წელს ქალ. ბრიუსელსა (ბელგია) და ქალ. ლონდონში (ინგლისი) ამ ჯგუფის ღვიძლი შვილია, რასაკვირველია, ჩვენი პრაქტიკის—მიერ მარქსიზმის რევოლიუციონური დიალექტიკით შობილი, განსხვავებული, გაკვეთილი და მომზადებული...

ამ ყრილობამ, რომელიც პარტიის ჭეშმარიტი დამაფუძნებელი ყრილობაა, მიიღო პარტიის პროგრამა, წესდება და ტაქტიკა—სტრატეგია ყოველდღიურ პარტიულ მუშაობაში სახელმძღვანელოდ, და მომავალი დიდი რევოლიუციონური ბრძოლის ზოგიერთი პერსპექტივები უჩვენა...

⁂

„ისკრისა“ და „ზარიას“ ჯგუფის პროექტი პარტიულ პროგრამისა მეორე ყრილობამდე—1903 წლის გაზაფხულის პირველ დღეებში ჩვენ აქ ტფილისში მივიღეთ **„კავკასიის ს. დ. მუშათა ორგანიზაციების“** პირველ ყრილობაზე და მით რევოლიუციონური მარქსიზმის გზა ვუჩვენეთ ქალაქის მუშათა და სოფლის უღარიბეს გლეხთა მასსებს... ამის გამომხატველი და ცხოვრებაში გამტარებელი იყვნენ **„კავშირის“** ყველა ორგანიზაციები—ბათუმისა, იმერეთ-სამეგრელოსი, ტფილისისა, ბაქოსი და სხვა პარტიული კომიტეტები და საკავშირო კომიტეტის პოლიტიკურ და ყოველმხრივ აქტიური ხელმძღვანელობით, საკავშირო ორგანო **„პროლეტარიატის ბრძოლა“** სამ ენაზე—რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე გამოდიოდა...

ამგვარი მანდატებით იყვნენ ჩვენ—მიერ აღჭურვილნი მეორე ყრილობაზე დელეგატები,—ბათუმისა, ტფილისისა და ბაქოს კომიტეტებისა (მაშინ მხოლოდ სამი ვიცანით სრულუფლებიანად)...

ეს იყო მაშინდელი **ბოლშევიზმი**, **„კომუნისტური მანიფესტი“**-ს იდეებზე დამყარებული, ჭეშმარიტი რევოლიუციონური სოციალიზმი, კომუნიზმი...

დელეგატებსაც ამ იდეების პოზიციაზე მდგარ უმრავლესობისათვის უნდა დაეჭირათ მხარი...

⁂

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი დიდი ამბავი, რომელიც მაშინ დატრიალდა სამხრეთ-რუსეთსა და კავკასიაში: **პირველი საერთო გაფიცვა**, რომელიც სწორედ მაშინ მოხდა, როცა მეორე ყრილობაზე ცხარე დავა იყო პარტიულ პროგრამა-წესდების და რევოლიუციონურ-მარქსისტული ტაქტიკა-სტრატეგიის შესახებ... ეს გაფიცვა, რომელსაც გარდა ეკონომიურ თავისი უღრმესი საფუძვლისა, გამსჭვირვალე, ნათელი პოლიტიკური **ხასიათი** ქონდა, საუკეთესო ილლიუსტრაცია,—დასურათხატება იყო პრაქტიკულად ჩვენი მაშინდელი მარქსისტულ-რევოლიუციონური ბოლშევიზმისა,—რაც მეორე ყრილობის უმრავლესობამაც უნებლიეთ დაადასტურა თავის რეზოლიუციებითა და საზოგადოთ დიდათ ნაყოფიერი თავისი მუშაობით...

⁂

რა მოხდა მეორე ყრილობაზე და შემდეგ ჩვენში?

ამის საპასუხოდ აქ კმარა მიუგოთ მეორე საკითხს: **რა არის მენშევიზმი?** სხარტულად,—მოკლეთ რომ ვთქვათ,—უმცირესობა მეორე ყრილობისა, რომელიც **ორგანიზაციულათ** ფართე ღია კარებს სტოვებდა ყველა ვიგინდარებისათვის პარტიაში შემოსასვლელად,—ტაქტიკურ-სტრატეგიულად—ლიბერალურ ბურჟუაზიის კუდათ უნდოდა გაეხადა კლასიური მუშათა პარტია მეოცე საუკუნეში...

⁂

არსებითად იდეურ-პოლიტიკურად უკიდურესი მემარჯვენე ნაწილი რუსეთის მენშევიზმისა შეიქნენ ჩვენებური ინტელიგენტ მენშევიკები: ნ. ჟორდანია, არჩილ ჯაფარიძე, ირაკლი წერეთელი და სილიბისტრო ჯიბლაძე. ესენი არიან აქაური, საქართველოს მენშევიზმის ერთად-ერთი ლიდერები და პასუხისმგებელნი ისტორიის წინაშე ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობის ერთიან ფრონტის გარღვევისა და მასსების საზიზღარი ოპპორტიუნიზმით „გარყვნისათვის“...

დანარჩენი ინტელიგენტები და მოინტელიგენტო მენშევიკები,—რაცუნდა დიდი ცნობილნი გამხდარიყვნენ შემდეგ, როგორც, მაგალითად, კარლო (ნიკოლოოზ) ჩხეიძე, ან რამიშვილები (ისიდორე და ნოე) და სხვები,—მხოლოდ მათ გვერდზე მყოფნი „აფიცრები“ და მათთან შეხმატკბილებულნი იყვნენ...

⁂

მაგრამ... აქ საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი: როგორ შესძლეს მათ ბათუმისა, ტფილისისა და ნაწილი ბაქოს მანამდე რევოლიუციონურ - ბოლშევიკურ მუშების „გარყვნა“, თავისკენ გადაბირება, არარევოლიუციონური ტაქტიკისაკენ გადაყვანა?!...

ამის პასუხად შეგვიძლია ვთქვათ ის, რომ **მოძრაობა** 1900-1907 წლების, როგორც პირველი მაგალითი საშინლად დიდ სივრციან სახელმწიფოში, როგორიც იყო მეფის იმპერია, იყო რევოლიუცია მეტად წვრილ-ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როგორც საერთოდ მთელ რუსეთში, ისე ამიერ-კავკასიაში უმეტესად განსაკუთრებით კიდევ უფრო ჩვენს საქართველოში...

ტაქტიკური საკითხები იყვნენ ძლიერ რთულნი და ძლიერ მცირე ნაწილს მოწინავე მუშებისას შეეძლო მათი ჭეშმარიტი **არსის გაგება**, მით უფრო, რომ მენშევიკები ყოველგან გარეგნობით მაღალ რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიაში ახვევდნენ თავიანთ ოპპორტიუნიზმს, ბაძავდნენ—რა ამაში გერმანიის რევიზიონისტებს ბერნშტეინ-შეიდემანის სკოლისას...

ამას უნდა დაუმატოთ შემდეგი: 1905 წლის რევოლიუცია, მართალია, დამარცხდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დასტოვა თაღლითი ფორმალური ლეგალიზმი, რომელიც ბურჟუაზიულ „ცივილიზაციის“, კულტურისა და რეფორმისტულ იდეების მასსებში ჩანერგვას დიდათ ხელს უწყობდა... მით უფრო, რომ **„სახელმწიფო დუმის“** ევროპიულ პარლამენტარულ **დეპუტატობამ** დიდი ილლიუზიებით აღავსო ხალხი და, მათ შორის, მუშების მნიშვნელოვანი ნაწილიც. მენშევიკ-ინტელიგენტები დიდ ლიბერალობას იჩენდნენ ორგანიზაციულ საკითხებში და პარტიის ღია კარებში უშვებდნენ წინანდელ რევოლიუციონურ მუშების გარდა,—აყარებელ „მეშჩანებს“, ინტელიგენტებს და სოფლის ჩარჩ-ბაყალებს (კულაკებს) უმეტესად გლეხების სახელით, ოღონდაც საწევრო და სხვა კიდევ მეტი მაზე ფულები მიეღოთ მათგან და ხმა მიეცათ მათ მათთვის ყოველგვარ არჩევნების დროს...

თავის თავად ცხადია, წინანდელი რევოლიუციონური პარტიის შემადგენლობა ჩვენში დიდად შეიცვალა. **წინანდელ ჭეშმარიტად სოციალისტურ-კომუნისტური, მასთანავე ბოლშევიკური, პარტიის მაგიერ ჩვენში გაბატონდა 1906 17 წლებში მენშევიკური პარტია წვრილ-ბურჟუაზიულ წმინდა წყლის იდეოლოგიით...**

ლონდონის უკანასკნელი შეერთებული ყრილობის (1907 წელს) შემდეგ ქართველი მენშევიკები **ნოე ჟორდანიას** ხელმძღვანელობით ყოველგვარ რევოლიუციონურ ლოზუნგებისა და არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციის ლიკვიდაციის გზაზე დაადგნენ...

⁂

ამიტომ შავმა რეაქციამ 1907-1916 წლებში მათ ბევრი არაფერი დააკლო: ისინი ყოველგან—სახელმწიფო, სამოქალაქო და სამრეწველო დაწესებულებებში „შეძვრენ“ და კარგად შეეწყვენ-შეეგუენ, რომ მშრომელ მასსის მოსატყუებლათ ჯერ კიდევ თაღლით მარქსიზმის სახელით საზიზღარ კონტრრევოლიუციონური რეფორმისტული იდეები ჩაენერგათ მასში...

მათ უარყვეს ამ დროს ლოზუნგები: **„რვა საათის სამუშაო დღე“** და **„დემოკრატიული რესპუბლიკა“** და ყოველ მხრივ ხელს უშლიდენ მუშების რევოლიუციონურ ნაწილების გამოსვლას—მაისის დღესასწაულის დღეებშიაც კი...

⁂

ომის დროს (1914 -18 წ. წ.) ნ. ჟორდანია ომის მომხრე პატრიოტი იყო, წმინდა მემარჯვენე „ობორონეცი“...

ხოლო 1917-18-19-20 წლებში ჟორდანიას გაჰყვა დანარჩენი მასსა მენშევიკებისა ნებსით თუ უნებლიეთ. საერთაშორისო მდგომარეობაც—ომის და რევოლიუციის ქარიშხალი და ევროპაში გამეფებული ქაოსი—ხელს უწყობდა ამას...

მართალია, თებერვლის რევოლიუციამ თავის საბჭოებით—მუშების, სალდათების და გლეხებისა—კისერი მოსტეხა მათ რეფორმიზმს, ისინი ხომ არ მოელოდნენ რევოლიუციას, არც უწყობდენ მას ხელს, კი არ ამზადებდნენ მისთვის მასსებს, პირიქით ხელს უშლიდნენ ყოველ-

---

*) ვინაიდან საქ. მენშევიკური პარტიის ყრილობაზე წარმოთქმული ამხ. მიხას სიტყვა შეცდომებით დაიბეჭდა თავის დროზე, ამიტომ ხელახლა ვაქვეყნებთ მას ავტორის მიერ შესწორებულს.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგვისტოში, 24 სამუშაო დღეში დაამზადა 607,328 არშინი ქსოვილი. რადგანაც დიდი მოთხოვნილებაა ღვედებისა, ამისთვის კვლავ აამუშავეს დროებით გაჩერებული ღვედების განყოფილება, რომელმაც უკვე დაამზადა 22 ნახ. ფუთი ღვედი. ამ ბოლო დროს კერძო პირები ბევრს ბამბას თხოულობენ რუსეთში გასაზიდათ. წარსულ თვეში 250 ფუთი ბამბა დამზადდა. ესეც რომ ქსოვილზე გადავიტანოთ, გამოვა, რომ აგვისტოში დამზადებულა 734,234 არშინი ქსოვილი. ამგვარად ყოველდღიურად მზადდება 31,248 არშინი, ნავარაუდევი გეგმის 71 პროც. მიღწეულია. საშუალოდ ყოველდღე მუშაობდა 636 დაზგა. თითო მათგანს აგვისტოს განმავლობაში მოუქსოვია 140,6 არშინი. ქარხანაში მუშათა რიცხვი 1500—ია, მოსამსახურე—34. წარსული თვის განმავლობაში მცირე რამ შეფერხება იყო ხოლმე ელექტრო ნაკადის შეწყვეტისა გამო.

აზერბეიჯანი თეირანის გამოფენაზე.

ბაქო. 12 სექტემბერი. საბოლოოდ გამოირკვა, რომ თეირანის გამოფენა ოქტომბრის 15-ს გაიხსნება. აზერბეიჯანი გამოჰფენს ღვინოს, თამბაქოს და აბრეშუმის ნაწარმოებს. გამოფენისათვის განსაკუთრებით ამზადებენ აზერბეიჯანის სასოფლო მრეწველობის დარგს.

სომხეთი

ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

ერევანი. 12 სექტემბერი. სომხეთის პროფკავშირის საბჭოს მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა დამატებითი პროცენტი დაადოს მუშათა კლუბის ბილეთებს და სადილებს, ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომისიის საშუალებათა გასაძლიერებლად.

საბჭოთა აჭარისტანში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა.

აგვისტოს განმავლობაში ბათომის ქალაქის მილიციის მიერ აღნუსხულია შემდეგ ბოროტ-მოქმედებათა შემთხვევები: ქურდობა—4, აღმოჩენილია—2 გაძარცვა—1, აღმოჩენილია, დაპატიმრებულია ორი ბოროტმოქმედი.

სისხლის სამართლის მილიციის მიერ აღნუსხულია შემდეგი ბოროტმოქმედებანი:—ქურდობა 56, აღმოჩენილია 21, გამოძიებაშია—26, აუხსნელია—6; მკვლელობა—3 აღმოჩენილია, თავდასხმა—1 აღმოჩენილია გაძარცვა 2—აღმოჩენილია.

ბანდიტიზმთან ბრძოლა.

ქობულეთის სამაზრო ადმინისტრაციის მიერ მიღებულ ენერგიული ზომების წყალობით და რესპუბლიკის მილიციის უფროსის ხელმძღვანელობით შეპყრობილ იქმნენ 20 აგვისტოს ნატანებ-ოზურგეთის გზაზე მგზავრებზე თავდამსხმელები—4 ბანდიტი. ყველა ნაქურდალი ნივთები და ფულები აღმოჩენილ იქმნა, რისთვისაც ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა მადლობა უძღვნა აჭარისტანის საბჭოთა მთავრობას.

სასოფლო მეურნეობა.

მიწად-მოქმედების კომისარიატმა შეიძინა სასოფლო-სამეურნეო იარაღები და დაგზავნა სხვა და სხვა აგრონომიულ პუნქტებში მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენად. კომისარიატმა მცხოვრებთ აგრეთვე დაურიგა მანდარინის დასაცავი წამლეულობა.

სერიოზული ყურადღება ექცევა მეფუტკრეობის განვითარების საქმეს, რომლის საჭიროებისათვის შეძენილია მრავალი ბუკი—სკით ხალხში გასავრცელებლად.

ბრძოლა საქონლის ჭირთან.

მიწად-მოქმედების კომისარიატის სავეტერინარო პერსონალის საშუალებით ზემო-აჭარაში მოსპობილი იქნა საქონლის ჭირი, აცრილ იქნა 1,350 საქონელი. პირუტყვთა სამკურნალოში მიღებულ იქნა ამბულატორიულად—131 ავადმყოფი პირუტყვი, სტაციონალურად—18, ოპერაცია ეყო—36-ს.

ხე-ტყის ქარხანა.

მიწად-მოქმედების კომისარიატმა შეადგინა პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ხე-ტყის ქარხნის გასახსნელად, რომელიც დასკვნისათვის წარედგინა მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

გზების შეკეთება.

გზათა რაიონულ სამმართველოს მიერ აგვისტოს განმავლობაში შეკეთებულ იქმნა ბათომ-ახალციხის და ბათომ-ქობულეთის გზები.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

სასოფლო-სამეურნეო აღწერა უკვე დასრულდა, მაგრამ ვინაიდან ამ ბოლო დროს ხშირი წვიმების გამო მოსავლის მდგომარეობა შეიცვალა—საჭირო გახდა ხელახალი ცნობების შეკრება მოსავლის შესახებ, რის გამოც ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერა დაგვიანდა ერთი კვირით.

სასამართლოებში.

ბათომის სახალხო სასამართლოებში, აგვისტოს განმავლობაში, აღიძრა 355 სამოქალაქო და 289 სისხლის სამართლის საქმე. მაზრებში—24 სამოქალაქო და 48 სისხლის სამართლის საქმე.

შრომის სასამართლოში, აღნიშნული თვის განმავლობაში, შემოვიდა 173 სამოქალაქო და 26 სისხლის სამართლის საქმე.

დახმარება ინვალიდებს.

სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ აგვისტოს განმავლობაში აღრიცხვაზე აყვანილ იქნა—30 ინვალიდი, პენსია დაენიშნა—27, ხოლო ერთდროული დახმარება—19.

ქობულეთის კომუნალური მეურნეობის მუშაობა.

ქობულეთის კომუნალური მეურნეობის მუშაობა ამ უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში მოკლედ გამოიხატება შემდეგში: მოეწყო პირუტყვთა სასაკლაო, მდინარე აჭყვაზე გაკეთდა ხიდი, ქალაქს მიეცა ელექტრული სინათლე, ახალ სოფლის გზაზე გაკეთდა ორი ხიდი, შესწორებული იქნა ქობულეთის ქუჩები, გაკეთდა ქალაქის ბაღი. კომუნალურმა მეურნეობამ განიზრახა აგრეთვე ჰიდრო-ელექტრული სადგურის აგება მდინარე კინტრიშზე, რისთვისაც შედგენილ იქნა გეგმა და მოწვეულ იქნა ინჟინერი, მაგრამ სადგურის აგება შეაფერხა იმ გარემოებამ, რომ მდინარე აჭარის წყალზე დაიწყო დიდი ჰიდრო-ელექტრული სადგურის შენება, რომელსაც შეუძლია მთელი აჭარისტანის და მასთან ქობულეთის ელექტროფიკაცია.

ჯანმრთელობის საქმე.

ოლქში არსებული საავადმყოფოები და საექიმო პუნქტები ფუხარა ხალხისთვის უფასო დახმარების აღმოჩენას განაგრძობენ.

ამ ახლო მომავალში ქობულეთში გაიხსნება 30 საწოლიანი სანატორიუმი ტუბერკულოზით ავადმყოფთათვის.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ

დღეს, სექტემბრის 14-ს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დაისვას საკითხი:

„სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობის შედეგები“

მასალათ გამოდგება საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თეზისები, ყოფილ მენშევიკთა სრულიად საქართველოს ყრილობის ბიულეტენები, სრულიად საქალაქო და სარაიონო კონფერენციების ანგარიშები.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

მანგლისის რაიონი

ეჭვს გარეშეა, რომ მანგლისს უპირატესობა აქვს ზაფხულის მთელ პერიოდის განმავლობაში, რადგან იქ, როგორც სააგარაკო ადგილზე, თავს იყრიან თბილისის მრავალი ამხანაგები და მთელი ორგანიზაციებიც კი (უმაღლესი პარტიული სკოლა, ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, სამხედრო ნაწილები და სხვა).

ამიტომ ძნელია ეხლა სავსებით შევაფასოთ მანგლისის რაიონის თვით პარტიულ ორგანიზაციების მუშაობა.

ეს თბილისის ორგანიზაციის ერთ-ერთი მცირე რაიონია: 4 უჯრედი 27 წევრით.

მინდვრის სამუშაოების გამო, ერთიანი პარტიული დღე—კვირაა.

რაიონული კომიტეტი, როგორც თბილისის ორგანიზაციის სხვა სამაზრო კომიტეტებიც, შესდგება 3 მუშაკისაგან.

უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში (1-ლ ივლისიდან) რაიკომს ჰქონდა ბიუროს 8 სხდომაზე მეტი და იმდენივე პლენუმის.

ამას გარდა 8 თათბირი და საინსტრუქტორო მოხსენებები აგიტატორთა შორის.

საავიტაციო მუშაობას ხელმძღვანელობს კოლეგია.

კვირაობით აგიტატორები მიემგზავრებიან სოფლებში.

არის 6 ქოხი-სამკითხველო; 3 პოლიტიკური წრე მიმაგრებულ პასუხისმგებელ ამხანაგებით, რომელთაც საკმაო „ექსპლოატაციას“ უწევსა რაიკომი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დასასვენებლათ არიან გამგზავრებული. სამხედრო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის წყალობით, საავიტაციო მუშაობისათვის გამოყენებულ იქნენ 1-ლი პოლკისა და უმაღლეს პარტიულ სკოლის 112 კომუნისტი.

აღნიშნულ დროის განმავლობაში ჩატარებულ იქნა 8 კამპანია; ამ რიცხვში შედიან ყოფილ მენშევიკების კონფერენცია, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების ორგანიზაცია და საჰაერო ფლოტის კამპანია. ამ უკანასკნელმა გამოიღო 2 მილიარდზე მეტი.

მიწის რეფორმა წარმატებით მიმდინარეობს; სამწუხაროთ, სტატისტიკური ცნობები ჯერ კიდევ არ არის შეგროვილი საბოლოოთ.

ეროვნულ უთანხმოებას არ აქვს ადგილი.

გლეხებს შორის შემჩნეულია ლტოლვა პარტიისაკენ, მაგრამ რაიკომი ფრთხილათ იქცევა ამ საკითხში, თავს იკავებს მიღებისაგან, იშვიათ გამონაკლისის გარდა.

ახალგაზრდათა კომკავშირის რაიკომთან მჭიდრო კავშირია დამყარებული; პარტკომი ხელმძღვანელობას უწევს ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობას, რომლის ორგანიზაციაში ითვლება 62 წევრი.

საბჭოთა აღმშენებლობაში წარმატებითი მუშაობა სწარმოებს და ის უარყოფითი მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ შარშან, ეხლა უკვე აშორებულია; ეტყობა შეკავშირება და ხელმძღვანელობა პარტიულ ორგანიზაციის მხრივ.

იმისათვის კი, რომ საბოლოო შთაბეჭდილება შევიმუშაოთ რაიონის შესახებ, უნდა ვნახოთ ის ზამთარში, როდესაც „სტუმრები“ გაემგზავრებიან თავთავიანთ ადგილებში და, რაიკომის მდივანის სიტყვებით, გლეხებ შორის, რომელთაც გაათავეს მინდვრის სამუშაოები, გაჩაღდება პოლიტიკური მუშაობა.

ი მულფოვანი.

პარტიული თათბირი ბაქოში

ბაქო. პარტიულ ცხოვრების გაცხოველების გამო, მინდვრის სამუშაოების დასრულების შემდეგ ერთის მხრივ და მომავალ სერიოზულ კამპანიების ჩასატარებლად, როგორიც არის—საბჭოების ხელახალი არჩევნები, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა და სხვა—მეორეს მხრივ, აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკამ 1 სექტემბერს მოიწვია სამაზრო კომიტეტების მდივნების და საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირი. თათბირზე წარმოდგენილი იყვნენ აზერბეიჯანის ყველა მაზრები. თათბირმა განიხილა ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხები და შესძლო გამოეჩინა ადგილობრივ მუშაობის გამოცდილება, გამოეყვანა დასკვნები და დაესახა მთელი რიგი ღონისძიებათა სოფლად პარტიულ მუშაობის გასაცხოველებლად და საბჭოთა აღმშენებლობაში გლეხთა ფართო მასების ჩასაბმელად. თითქმის ყველა მაზრებისათვის საერთო მოვლენა იყო ის გარემოება, რომ ტრანსპორტი მაზრებში სავსებით მოწესრიგებულია და სამაზრო კომიტეტებს შეეძლოთ მთელი თავისი ყურადღება მიექციათ დაბალ პარტიულ ორგანოების და კომიაჩეიკების განმტკიცებისათვის. თათბირის მიერ მიღებულ კონკრეტულ ზომებიდან უნდა აღინიშნოს იაჩეიკების წერა-კითხვის მცოდნე მდივნების შერჩევა, იაჩეიკების მდივნების თათბირის მოწვევა თვეში ერთჯერ, მდივნების ხანგრძლივი თათბირები, მთელ რიგ იაჩეიკების დათვალიერება, იქ წარმოებულ მუშაობის შესწავლა, იაჩეიკების ღია სხდომები, საერთო პოლიტიკური საკითხების დაკავშირება ამა თუ იმ სოფლის საკითხებთან, ინდივიდუალურ პროპაგანდის მეთოდი, ინდივიდუალურ დირექტივებისა სისტემა, ყველა ორგანიზაციებისა და კომიაჩეიკების საერთო ცირკულიარების ნაცვლად და სხვა. თათბირმა საჭიროთ ჩასთვალა ხაზი გაუსვას ისეთ სამაზრო ინსტრუქტორების შერჩევის მნიშვნელობას, რომელთაც შეუძლიათ მჭიდრო კავშირის დამყარება, იაჩეიკებისათვის ინსტრუქციების მიწოდება და იმ გამოცდილების შთანერგვა, რომელიც იქ დაგროვდა და სხვა. თათბირმა ხაზი გაუსვა ორ მომენტს პარტიულ მუშაობაში: ეროვნულ საკითხს და მუშაკთა პარტმუშაობაში გაყვანას ფართო მასშტაბით. ვინაიდან კვალიფიციურ, გამოცდილ პარტიულ მუშაკთა, განსაკუთრებით თათარ მუშაკების დიდი ნაკლულოვანებაა, დაბალ პარტიულ ორგანოებში სამუშაოდ, საჭიროა იმ პარტიულ ძალების მაქსიმალურად და მიზანშეწონილად გამოყენება, რომელიც პარტიას ჰყავს თათბირი საფუძვლიანად და მოფიქრებით მიუდგა ეროვნულ მომენტს პარტიულ მუშაობაში. ამ სფეროში თათბირმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საჭიროა სამაზრო კომიაჩეიკებში, სადაც უმრავლესობა თათრებია, პარტიული მუშაობა სწარმოებდეს თათრულ ენაზე. სოფელზე ქალაქის შეფობის საკითხმა მიიქცია თათბირის განსაკუთრებული ყურადღება. ამ საკითხში მიღებულ გადაწყვეტილებას ექნება დიდი მნიშვნელობა ამ საკითხის უფრო რეალურ ნიადაგზე დასაყენებლად, ვიდრე იგი დღემდე იდგა. თათბირმა საჭიროთ სცნო გაატაროს ქალაქის შეფობა სოფელზე ქალაქის იაჩეიკების სოფლის იაჩეიკებთან მიმაგრების საშუალებით. პრაქტიკული დახმარება სოფლისათვის უნდა გამოიხატოს მის კულტურულ დონეს აწევაში. მიწის საკითხმა, საბჭოების ხელახალი არჩევის საკითხმა და ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადმა გამოიწვიეს დიდი ინტერესი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა თათბირის მონაწილეთა შორის. დასკვნაში თათბირმა მიიღო დადგენილება ყველა მაზრებში ჰაეროდრომების მოწყობის შესახებ.

გვარ საშუალებით: მალულად და აშკარადაც კი მეფის პოლიცია „ოხრანიხა“ და ზოგჯერ კიდევ მაშინ ზოგიერთი შეუგნებელ ჯარის ნაწილის შემწეობით, მაგრამ თებერვლის რევოლიუციამ მაინც შეეწყვნენ ისინი, რომ კერენსკი-მილიუკოვთან ერთად „გაერყვნათ“ რევოლიუციაც კი, და მასხები ამერიკა-ევროპის ბურჟუაზიის „წმინდა დემოკრატიის“ გზაზე წაეყვანათ... აქ მათ,—მენშევიკ-ლიდერებს უკანასკნელი ლახვარი ჩასცა დიდმა ოქტომბერმა და საბჭოთა მთავრობის, მუშა-გლეხკაცობის ბატონობის, პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრებამ დიდ რუსეთში (პეტროგრადი-მოსკოვი)...

ისინი ანებებენ თავს რუსეთის „ინტერნაციონალობას“, არღვევენ საერთო ფრონტს და ცვლიან მას ჯერ კავკასიის, შემდეგ ამიერ-კავკასიის და ბოლოს საქართველოს ნაციონალიზმ-შოვინიზმით...

ისტორიამ მათ უღალატა, როგორც მათ უღალატეს მუშათა კლასს და სოციალიზმს—კომუნიზმს. ოქტომბერმა მათ ჭკუა დაუკარგა, დაუბნია გონება, რაც კი შერჩათ კიდევ წერეთელ-ჟორდანია-ჩხეიძეებს და დაბოლოებით ფაქტიურად გადისროლა ისინი იმპერიალისტების კონტრრევოლიუციონურ ბანაკში საბჭოთა რუსეთთან და ჩვენი ქვეყნის მუშების და ღარიბ გლეხკაცობასთან საბრძოლველად, რომ პროლეტარული რევოლიუცია ჩაეხრჩოთ ანტანტას შემწეობით მის საშოში—რუსეთში და აქაც—საქართველო-კავკასიაშიც არ გავრცელებულიყო, არ დამკვიდრებულიყო ის...

თავის თავად ცხადია, რომ მეორე ინტერნაციონალმა, დაბოლოებით გაყვითლებულმა თავის ლიდერებით—ვანდერველდე-კაუცკის და მათი კომპანიით,—თითქოს ცოტა ზურგი მოუმაგრა მათ, საქართველოს მენშევიკებს, რომ აქ, ამიერ-კავკასიაში, კერძოდ საქართველოში კიდევ განეგრძოთ ბატონობა ანტანტის იმპერიალისტებს და წმინდა წყლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიის ს. დ. სახელწოდებით...

მაგრამ, როგორც იმპერიალისტებმა წააგეს საბჭოთა ქვეყანასთან ბრძოლა ომში,—ისე კუდამოძუებული გაიქცნენ აქედან — ამიერ-კავკასიიდან ჯერ მუსავატისტები, შემდეგ დაშნაკები და ბოლოს კი თვით კაუცკი-ვანდერველდე-რენოდელ-სნოუდენის—მიერ მირონცხებულნი საქართველოს მენშევიკები — ჟორდანია წერეთელი-ჩხეიძეები და მათი მცირე ამალა...

გაიქცნენ, გაძარცვეს-რა „თავისი“ ხალხი, ანტანტის საომარ გემების საფარ ქვეშ შავი ზღვით კონსტანტინოპოლ-პარიზ-ლონდონისაკენ, თავის ბატონებისაკენ, თავისი დამქირავებლებისაკენ და საქართველოს მუშა-გლეხკაცების გამძარცველებისაკენ...

სამარცხვინო ბოძზე აკრული შევა მათი სახეები ისტორიაში, მიუხედავათ მათი ახალგაზრდობის დროს „კულტურულ“ (და არა რევოლიუციონურ) მუშაობისა ჩვენში...

⁂

ისტორიამ კარგა ხანია წესი აუგო წვრილ-ბურჟუაზიულ მეძავ ტაქტიკას „რევოლიუციონერების“ მხრივ...

ასეთ ვერაგულ ტაქტიკას, იმპერიალიზმის სამსახურს ეწეოდენ ჟორდანია-ჩხეიძენი (და ეწევიან დღესაც საბჭოთა ქვეყნების გარეშე) იმ დროსაც, როცა 1920 წელის რევოლიუციონურმა მოსკოვმა „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“ დაუდვა ხელშეკრულება, რომ საქართველოს მენშევიკებს, როგორც ერთ დროს ჩვენთან ერთად ერთ პარტიაში ყოფილთ, პატიოსნად დაეცვათ ის და თავი დაენებებინათ ტფილისის გაცხადათ საერთაშორისო კონტრრევოლიუციის ინტრიგების ბუდედ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რომ მათ, მართლაც, რომ თუ გულწრფელნი იყვნენ თავიანთ რწმენაში, „წმინდა დემოკრატიზმის“ ცდა გაეტარებიათ ცხოვრებაში აქ, და მომავალი შედარება-გამოცდა-პრაქტიკით მეგობრულ ქვეყნებისა — საბჭოთა რუსეთის და ს. დ. საქართველოსი— უჩვენებდა მათ და, მაშასადამე, მუშა-გლეხკაცების მასსებს, თუ რომელი სისტემაა ხელსაყრელი მუშა-გლეხკაცებისათვის. მაგრამ, როგორც ზევით ვსთქვი, ისტორიამ შეიძლა საქართველოს მენშევიზმის, როგორც სხვა ქვეყნებისაც, ლიდერები და გონება დაუკარგა მათ...

ისტორიამ წინ წასწია ამ სამიოთხ წელს რევოლიუციის საქმე: მშრომელთა მასები დედა-მიწის ზურგზე ყოველგან ილვიძებენ და მოსკოვს ეტრფიან, როგორც თავის სამშობლო დედა-ქალაქს, დედა-ქალაქს კომ-ინტერნისას და სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების დიდ კავშირისას....

ერთიანი ფრონტი ყველა მშრომელთა—ამერიკა-ევროპა-იაპონიაში და აღმოსავლეთის ხალხების მძლავრი გამოღვიძება მცარცველ-მჩაგვრელი იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმართავს გადამწყვეტ უკანასკნელ საბრძოლველად კომინტერნს, ამ საერთაშორისო რევოლიუციის დიდებულ შტაბს... და, აი, თქვენც, მეგობრებო, ისე, როგორც ძველ მენშევიზმის საუკეთესო იდეოლოგმა ამხ. მარტინოვმა ქნა, თქვენც გაიმეორეთ, გულწრფელად, ამ საერთაშორისო მდგომარეობის დროს, ერთგვარ პროცესიის გავლენის ქვეშ, გამოიღვიძეთ და მხნეთ და უკან დაუხევლად მახსიურად გამოხწიეთ ჩვენსკენ, დაბრუნდით ისევ თქვენს სახლში,—„პროლეტარიატის ბრძოლის“ „სამეფოში“ (ტაში)...

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ჩვენს რიგებში და გისურვებთ, რომ თქვენ შორის არ აღმოჩენილიყოს არც ერთი ახალი „მენშევიკი“ ისევ ნებსით თუ უნებლიეთ მერყევი, ძველ ოპორტიუნიზმისაკენ, თუნდაც რამდენი გრადუსითაცა -კი, გადამხრელი. შორს ეს ჩვენგან!..

თქვენ აღადგინეთ საერთო ფრონტი, და მით მაგალითი უჩვენეთ თვით ევროპის, სახელდობრ — დღეს გერმანიის ს. დ.-ებს,—მოშორდენ ისინიც თავიანთ ებერტ-შეიდემანებს, როგორც თქვენ მოშორდით საუკუნოთ მოღალატე ხომერიკ-ჟორდანია-წერეთელ-რამიშვილ-გეგეჭკორ-ჩხენკელებს... იქნებით კომპარტიაში, როგორც მეთაურ ჯარში, თუ ისე გარედ, მის გარშემო, სულ ერთია,—თქვენ დღეს ხართ ჩვენი საერთო პროლეტარული დიდი ოჯახის მებრძოლი,—შეგნებული მოქალაქენი და ჩვენი განუყრელი ამხანაგები პირში და ლხინში და ყოველი მტერი საბჭოთა ქვეყნისა და კომუნიზმისა, როგორც არიან თქვენს გარეთ კიდევ დარჩენილი ბანდიტ-მენშევიკები აქ ტყეებში თუ საზღვარ-გარედ ხელ-ახლა სისხლის დასაღვრელად და სამოქალაქო ომის გასაღვივებლად, ისინი იქნებიან თქვენთვისაც: ამიერიდან მტრები შეურიგებელნი და განსაგმირავნი თქვენის დახმარებით ჩვენ მიერ...

გაუმარჯოს ამ ჩვენს სიმტკიცეს და ციხე-დარბაზს...

გაუმარჯოს ამ ჩვენს იდეურ-პოლიტიკურ კლასსიურ ერთობას.

გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყანას.

გაუმარჯოს პროლეტარულ საერთაშორისო რევოლიუციას.

გაუმარჯოს ჩვენ თქვენთან ერთად განუყრელ მედგარ შრომასა და ბრძოლას საბჭოთა ქვეყნის დიდი კავშირის განსამტკიცებლად და განსაფართოებლად, რომ ჩქარა მოეხწროს ბედკრული კაცობრიობა კომუნისტურ წეს-წყობილებას...

კიდევ სალამი და გამარჯვება თქვენი ძველი მეგობარი და თანამოლაშქრისაგან.

(ტაში, ოვაციები და ინტერნაციონალის სიმღერა მუსიკით)..

„პარტიული სკოლის ძირითადი ამოცანა“

„პრავდა“-ს წერილი.

მოსკოვი. „პრავდა მეთაურში“ „პარტიულ სკოლის ძირითადი ამოცანა“ სწერს:

„პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლების რექტორმა შირშანდელ კონფერენციაზე მიღებულ და საბჭოთა პარტიულ სკოლების მეორე ყრილობის მიერ დამტკიცებულ გეგმაში შესწორება უნდა იქნან შეტანილი. საჭიროა ნათლათ წარმოდგენა იმ განსხვავების, რომელიც არსებობს კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებისა და დანარჩენ უმაღლეს სასწავლებლების ამოცანებს შორის.

უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ გამოცდილ სპეციალისტებს, კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლები—შეგნებულ პარტიულ მუშაკებს, რომელნიც მზათ არიან დაიჭირონ ყოველგვარი თანამდებობა. პარტიულ მუშაკს არ შეუძლია იყოს მხოლოთ სპეციალისტი. სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტის მდივანი უნდა ერკვეოდეს საბჭოთა აღმშენებლობის ყველა საკითხებში: ეკონომიურ, განმანათლებელ და სხვა საკითხებში.

პარტიულ მუშაკს უნდა ჰქონდეს სწორი მიდგომა ყველა ამ საკითხებისათვის.

კომუნისტურმა უმაღლესმა სასწავლებელმა თეორიული საფუძველი უნდა მისცეს წარმოებითი სტაჟის მქონე გამოცდილ ამხანაგებს. პარტიულმა სკოლამ, პირველ ყოვლისა, უნდა ასწავლოს მსმენელებს თეორიული აზროვნება,—მან უნდა შეასრულოს მუშას პრაქტიკულ და დიალექტიურ აზროვნების გამოყენება ცხოვრებაში. სამი წლის მეცადინეობის დროს სტუდენტმა-კომუნისტმა სავსებით უნდა შეითვისოს რევოლიუციონური მარქსიზმი, რომელიც შეასწავლის მას კლასიურ თვალსაზრისით მიუდგეს ყოველ საკითხს. მაშინ კომუნისტი, რომელი სპეციალობისაც არ უნდა იყოს ის, იქნება, პირველ ყოვლისა, რევოლიუციონური მარქსისტი.

პარტიას არა ყავს საკმაო რიცხვი მომზადებულ ამხანაგ-მასწავლებლებისა. აუცილებელი ხდება არა მარქსისტთა გამოყენება. ამიტომ აუცილებელია მეცადინეობის სწორი მეთოდის აღნიშვნა და ცალცალკე დისციპლინების ორგანიულათ შეკავშირება.“

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(13 სექტემბერი).

ჩერვონცები	45,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	43,650
ჩეკები	42,000
დოლარები ეფექტ.	9,500
„ ჩეკები	8,800
ოსმ. ქალ. ლირა	6.050
საბჭ. ფულის ნიშნები	20,5

მუშკოპის ფასები.

(13 სექტემბერი).

პური 1 ხარ. გირვ. 300, პური 2 ხარ. გირ.—180. ფხვნილი შაქარი—1960. ნატეხი შაქარი—2495. ბრინჯი—535. ძროხის ხორცი—950. ცხვრის ხორცი—1300. კარტოფილი—130.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(13 სექტემბერი.)

პური 1 ხარ.—400, პური 2 ხარ.—200—300. ნატეხი შაქარი—2,600. 2700. ფხვნილი შაქარი—2100—2200. ძროხის ხორცი—1100 ცხვრის ხორცი—1400 ათ. ბრინჯი—600—700 ათ. კარტოფილი—150.

ბირჟის მიწოდება.

(13 სექტემბერს).

კავკასიის ფქვილი. მაკარონი და ვერმიშელი. ფხვნილი შაქარი. გამომწვარი აგურები და თიხა. ფანჯრის მინები. ქაღალდი და კარტონები. ნახიჩევანის მარილი.

ბირჟის მოთხოვნილება.

(13 სექტემბერს).

სამუშაო ფეხსაცმელები. რუსეთის ფართლეულობა. ჩაი. ხმელი ნარმა. ყუბანის ხორბალი. ქერი. მზესუმზირას ზეთი.

ოფიციალური გარიგებანი

(13 სექტემბერს)

ნახიჩევანის ქვა მარილი—1 მ. 20 კ. ფუთი.

რუსეთის ქაღალდის ფართლეულობა პრეისკურანტის ფასების მიხედვით.

საქონლის ბაზრის განწყობილება

(13 სექტემბერი).

განწყობილება ხასიათდება ფასების მცირედი დაცემით პურის პროდუქტებზე. შაქრის ბაზარზე განწყობილება მოდუნებულია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(13 სექტემბერი).

მოთხოვნილება ჩერვონცებზე გაიზარდა, კურსი შედარებით მტკიცეა. განწყობილება ხასიათდება საერთო მოდუნებით.

სრულიად საქართველოს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა მესამე ყრილობა

მესამე სხდომა.

კამათი კავ. ცენტ. გამგეობის ანგარიშების გარშემო.

ამხ. გულისვერდაშვილი ბრალსა სდებს ქუთაისის ორგანიზაციას მასში, რომ მან მოაწყო არტელი მუშებისაგან, რომელნიც თავის წარმოშობით ჩვენი პროგრამას შეუფერებელი არიან. საჭირო იყო აგვეშორებია ექსპლოატატორების გავლენა და ამავე დროს არ გაგვედიდებია უმუშევართა რიცხვი. ქალთა ორგანიზაცია ვერ მოეწყო, რადგან მათთვის ქალაქში შესაფერი საწარმოო დაწესებულება არ არის. კულტმუშაობის მხრივ ქუთაისი არ ჩამოურჩება სხვა ქალაქებს. ამხ. **ცაგარეიშვილი** ზემოთქმულს დასძენს იმას, რომ ქუთაისის აღმასკომმა 30 მილიარდი დეფიციტი ნახა.

ბეჟანიშვილი იცავს ბათომის ორგანიზაციის მოქმედებას.

ამხ. ტოფაძე კავშირის ცენტრ. გამგეობის მოქმედება მიაჩნია საერთოდ დამაკმაყოფილებლად

ამხ. გაგნიძე მომავალ სამდივნოსაგან მოითხოვს მუშათა ბავშვებისადმი მეტი ყურადღების გამოჩენას მათთვის სწავლა-განათლების მიცემის მხრივ.

დასასრულ ყველა მოკამათეთ ვრცელ პასუხს აძლევს მომხსენებელი. რეზოლიუციის მიღება ყრილობის უკანასკნელ სხდომამდე გადიდვა.

მოხსენება კომუნალურ მეურნეობის მთავარ სამმართველოს მოქმედებაზე.

(მომხსენებელი ნონიაშვილი.)

მომხსენებელი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მას შემდეგ, რაც კომუნალურ დახმარების გადასახადის შესახებ საკითხი აღიძრა, შემუშავდა მთელი რიგი დეკრეტების, რომელნიც ადგილობრივ დაბეგვრას შეეხებოდნენ.

ყველა მაზრების ხარჯთ-აღრიცხვა დამთავრებული იქნა დეფიციტით, და ხშირი იყო დოტაციების გამოთხოვა, ამავე დროს გამოიცა დეკრეტი საფუთო გადასახადზე, რომლის დანიშნულებაც დეფიციტის დაფარვა იყო.

მიწის ფონდი.

მიწის რეფორმის გატარების შემდეგ შეიქმნა მიწის ფონდი, რომელიც ამჟამად ხელსაყრელ ექსპლოატაციის მიზნით იჯარით არის გაცემული.

მშენებლობა.

რაც შეეხება მშენებლობას, იგი ვითარდება: კეთდება ხიდები, გზები და სხვ. ყველგან ქალაქის მოწყობა და მოგვარება წარმატებით მიმდინარეობს.

საბინაო საკითხი.

საბინაო საკითხი, რომელიც მწვავედ სდგას არა მარტო საქართველოს მასშტაბით, თანდათან წყდება ახალი საბინაო კანონის პროექტის მიხედვით, თავიდან მოშორებულია ადმინისტრატიული ჩარევა ამ საქმეში და იგი ხდება სახალხო სასამართლოების გარჩევის საგნად.

კამათი მოხსენების გარშემო.

ამხ. ბექანიშვილი აღნიშნავს, რომ კომ. მეურნ. მთავარ სამ—ლოს არავითარი კავშირი არა აქვს აჭარისტანთან, რომლის მოქმედების შესახებ ამ სფეროში სამმართველომ არაფერი იცის. მაგ. აჭარაში დაიხურა მთელი რიგი წარმოებათა სამმართველოს გაუგებრად.

ამხ. **ბროუნი** ეხება კომუნალურ დახმარების შეფასებას ადგილობრივ. საბინაო კანონის გატარება ყოველი ქალაქის მიმართ გამოუკლებლად ამხ. ბროუნს მიზანშეუწონლად მიაჩნია.

ამხ. **ხერგიანი** დღევანდელი მოხსენება შარშანდელი მოხსენების განმეორებათ მიაჩნია და ვერ ხედავს სამმართველოს მოქმედებაში ინიციატივას და მაზრების ხელმძღვანელობას. იგი საქმისადმი მეტ სერიოზულ მოპყრობას მოითხოვს.

მომხსენებლის საპასუხო სიტყვის შემდეგ ყრილობა გადადის რუხაძის მოხსენების მოსმენაზე.

საინსტრუქციო მოხსენება საკულტურო-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ.

მომხსენებელ რუხაძის აზრით, ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური მხრივ ჩვენ ისეთს მომენტს განვიცდით, რომ საჭიროა მუშათა მასებთან მისვლის სწორი გზის გამონახვა.

როგორ მივიდეთ მუშასთან.

ჩვენი მტრები ამტკიცებენ, რომ სოციალისტური რევოლიუცია ნაადრევია, რადგან მუშა ხალხი ჯერ ჯერობით მოუმზადებელია. მუშა-ხალხს რომ ამ დროისთვის ელოდინებინა, ვერასოდეს ვერაფერს ეღირსებოდა. დანაშაულობათ უნდა ჩაეთვალოს

„ახალგაზრდა მარქსისტების“ დაშლა

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი:

ჩვენ, საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ყოფილი წევრები, რომლებიც ორგანიზაციაში მიზნად ვისახავდით რევოლიუციონურ მარქსიზმის შესწავლას საქართველოში მენშევიკების „მოღვაწეობის“ დროს ჩვენც გვერდში ამოუდექით მათ—ეგრედწოდებულ დემოკრატიულ დამოუკიდებელ რესპუბლიკის აშენებლად. მაგრამ დღეს მოვლენათა ობიექტიური განჭვრეტამ, კომუნისტების რევოლიუციონურ ბრძოლის მეთოდების და მათი აღმშენებლობითი მუშაობის სწორ შეფასებამ, ჩვენ სრულიად შეგნებით და გულწრფელად მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ ამ ხნის განმავლობაში ჩამომწყდარი ვიყავით იმ ძალისაგან, რომელიც ერთად ერთი თანამედროვე რევოლიუციონურ ხანაში პროლეტარულ კლასიურ შეგნებით ებრძვის მსოფლიო კაპიტალისტურ მაგნატებს პროლეტარიატის დიქტატურის მოსაპოვებლად, რაც აუცილებელია სოციალიზმის დასამყარებლად.

ჩვენ ხელს ვიღებთ რა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაზე და ამიერიდან ვდგებით ურყევლად საბჭოთა პლატფორმაზე და მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპების ნიადაგზე, კომკავშირთან ერთად ჩავებმებით რევოლიუციონურ აღმშენებლობით ფერხულში, რათა ჩვენს კლასიურ მტერს, ბურჟუაზიას—ვაჩვენოთ შეერთებული პროლეტარული ფრონტის მძაფრი მუშტები.

გაუმარჯოს ჩვენს მისვლას მსოფლიო რევოლიუციონურ ძალასთან!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

ძირს ოპორტიუნიზმის ჭაობში დამყაყებული ძალები.

ცეცაძე ლავრენტი, ჩიქვილაძე დათიკო, მერაბაშვილი იოსები, სამხარაძე მიშა, ინაშვილი ლავრენტი, კალანდარიშვილი ლად., ჩიტაიშვილი ევგენი, ქუთათელაძე, ბახტაძე, ტაბიძე სერგი, სანაძე ივანე, სანაძე გრიშა, გაბუნია კონსტანტ., პაიჭაძე ალექსანდრე, ტაბიძე დავითი, ქუთათელაძე კონსტ., ბახტაძე ვანიჩკა, ქუთათელაძე ვალოდია, სურმავა ვალია.

ყოველ კავშირს, თუ იგი არ აძლევს მუშას მაქსიმალურ ცოდნას.

საკლუბო მუშაობა ისე უნდა გავაღრმავოთ, რომ მან ყველაფერი მისცეს მუშას, რაც საჭიროა ყოველდღიურ ცხოვრებისთვის; თუ ჩვენ ვერ მოვამზადებთ მუშებს ისე, რომ მათ ვერ შესძლოს „სპეცების“ მაგიერობა გასწიონ, იმ „სპეცებს“, რომელნიც ჩვენ გვატყუებენ და გვატყავებენ, ჩვენ სავსებით გავლატაკდებით და დავიღუპებით.

კულტ-განყოფილებამ უნდა შექმნას ძირითადი უჯრედი—კლუბი, რომელმაც უნდა შემოიკრიბოს თავის გარშემო მუშები, სადაც ისინი დაისვენებენ, ისწავლიან და გაერთობიან მთელი თავისი ოჯახით.

კავშირი გადავიდა ნებაყოფლობით წევრობაზე. დღეს ყოველი მუშა მზადაა შეიტანოს საწევრო გადასახადი. საჭიროა საკლუბო საქმეც ისე დავაყენოთ, რომ ყოველს მუშას მთელ თავის ოჯახით მიუხაროდეს იქ მისვლა იმ იმედით, რომ იგი კლუბში სულიერად დაისვენებს. მიიღებს ცოდნას და სხვას. მუშები უნდა მოვაშოროთ დუქნებს, სარდაფებს და სამიკიტნოებს წითელ ტრაქტირების გახსნით ან კლუბებში ბუფეტების მოწყობის საშუალებით.

მრავალ მუშას აქვს სურვილი ისწავლოს სიმღერა ან დაკვრა რომელიმე ინსტრუმენტზე. ეს მიდრეკილება მუშისა უნდა გამოვიყენოთ, შევქმნათ სილამაზე, სიფაქიზე და სიხალისე და მაშინ მუშა აშკარათ იგრძნობს, რომ მასაც აქვს კუთხე, სადაც ის სულიერად ამაღლდება და ცოდნას შეიძენს.

თუ ჩვენ მუშის ცხოვრებას ასე მოვაწყობთ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ საბოლოო მიზანს—სოციალიზმს მალე მივაღწევთ. თეზისების კითხვა საბოლოო სხდომისთვის გადიდვა.

ქრონიკა

— **სოც. დაზღვევის საპროცენტო ანარიცხების შესახებ.** შრომის კომისარიატმა დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა საქ. სახ. კომისარიატის საბჭოს წინაშე, რათა ყველა სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ სახალხო კომისარიატების და დაწესებულებათა სოც. დაზღვევის საპროცენტო ანარიცხები უშუალოდ შეტანილ იქმნენ ცენტრ. სოც. დაზღვევის სამმართველოში.

— **ხოლერის წინააღმდეგ.** წინადადება მიეცათ ყველა სადგურების უფროსებს მიიღონ ზომები, რათა სადგურებზე ყოველთვის იქნეს გადმოდუღებული წყალი და სადგურის ახლო-მახლო მიდამოებში აკრძალონ ხილით ვაჭრობა და დაიცვან სისუფთავე ხოლერისა და სხვადასხვა ეპიდემიურ ავადმყოფობათა გავრცელების თავიდან ასაცილებლათ.

— **კოოპერატივები სოფლად.** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის აგროდახმარების განყოფილებამ წარმო-კავშირთან ერთად თელავში დაარსა სამი კოოპერატიული ამხანაგობა შემდეგ სოფლებში: ყვარელში, შილდაში და ნაფარეულში.

— **ღვინის მოსავალი კახეთში.** ღვინის მოსავალი ალაზანს გაღმა რაიონში წელს მეტად სუსტი იქნება, რადგან მომეტებული ნაწილი ვენახების ძლიერ დააზიანა ნაცარმა.

— **რკინისგზის სამმართველოს მიერ შრომის კანონების სისტემატიური დარღვევა.** რკინისგზის სამმართველოს დაწესებულებები ყოველ ფეხის ნაბიჯზე უვლიან გვერდს შრომის დაცვის კანონებს განსაკუთრებით მუშა-მოსამსახურის სამუშაოზე მიღების დროს. საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერ არის.

— **„ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოამბე“.** გამოვიდა „ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოამბე“ № 4—6. ჟურნალი შეიცავს მდიდარ ოფიციალურ, მეცნიერულ და პოპულიარულ სამედიცინო მასალას. შესდგება 320 გვერდისაგან, გამოცემულია სუფთად და ღირს 2 მან. 50 კ. ჩერვონც.

— **გაზეთი „ხომლი“.** სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი „ხომლი“, რომელიც უნდა გამოსულიყო 16 სექტემბერს ტექნიკურ დაბრკოლებების გამო გამოვა უახლოეს მომავალში.

— **ხილის სახმობი მანქანა.** აგვისტოს განმავლობაში მიწად-მოქმედების კომისარიატის აგროდახმარების განყოფილების თაოსნობით გორის სადგურის მცხოვრებლებს აჩვენებდენ მანქანას, რომლის საშუალებით შეიძლება ყოველნაირი ხილის გახმობა.

— **მოხსენებები მეფუტკრეობაზე.** სოფელ ბახმაროში მოწყობილ იქნა ლექცია-მოხსენებები მეფუტკრეობის შესახებ, რის დროსაც აჩვენებდენ ნიმუშებს თუ როგორ უნდა მოუარონ ფუტკრებს. თაფლის მოსავალი წელს ამ რაიონში დიდი იქნება.

— **მოწყალე დების აღრიცხვა.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა მოახდინოს იმ მოწყალე დების აღრიცხვა, რომელნიც მსახურობდნენ ომის დროს.

— **საგუნდო ფერშლების გამოცდა.** ტფილისში, ქუთაისში და ბათომში დაარსებულნი იქნენ სპეციალური კომისიები, რომლებსაც დავალებული აქვთ აწარმოონ საგუნდო ფერშლების გამოცდები მათი ცოდნისა და სწავლის გამოსარკვევათ. ვინც ამ კომისიებს ვერ ჩააბარებს ფერშალთა სკოლის კურსს, 1924 წ. 1 მაისამდე, მოხსნილი იქნებიან სამუშაოდან.

— **უმუშევარი ექიმები.** ჯანმრთელობის კომისარიატმა გადაწყვიტა მოახდინოს სრული აღრიცხვა უმუშევარ ექიმებისა და გაგზავნოს სოფლებში შრომის ბეგრის წესით.

— **კერძო სამკურნალო დაწესებულებები.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მიერ გამომუშავებულ და დამტკიცებულ იქნა წესდება კერძო სამკურნალო დაწესებულებების შესახებ.

— **უმუშევართა შეღავათის მოწმობები.** შრომის ბირჟამ გააგრძელა უმუშევართათვის შეღავათიან მოწმობების ვადა, რომლებიც გაცემული იყო სამი თვით.

— **შრომის ბირჟა.** 12 სექტემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა—539 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—202, სამუშაოზე გაიგზავნა—53.

— **სანატორიუმი აფონში.** აფხაზეთის სააგარაკო სამმართველომ გადაწყვიტა აფონში გახსნას სანატორიუმი ავადმყოფი ბავშვების მოსათავსებლათ.

— **გაზ. „წითელარმიელის“ შეჩერება“.** გაზ. „წითელიარმიელი“ ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო დროებით შეჩერებული იქნა. მიღებულია ზომები გაზეთის ახლო ხანში გამოცემის გასაგრძელებლათ.

— **მექრთამეობასთან მებრძოლ კომისიის გაუქმება.** რკინისგზის სამმართველომ დაადგინა გააუქმოს მექრთამეობასთან მებრძოლი კომისია და მისი საქმეების შესრულება დააკისროს ადმინისტრატიულ ორგანოებს.

გამომცემლობის საქმე ჩვენში

ისეთი დიდი საქმის გაძღოლა და ნაყოფიერად წარმოება, როგორიცაა ხალხში წიგნების გავრცელება მისი კულტურული განვითარებისათვის, არ შეუძლია არც ერთ დაწესებულებას, რაგინდ სასურველ პირობებში არ ჩააყენო იგი; ამ საქმეს უნდა ემსახურებოდეს ყოველი შეგნებული ადამიანი, ვისაც რით შეუძლია. როცა საზოგადოების შეგნებული ნაწილის უმრავლესობა ამ დიად საქმეს გულგრილად ეკიდება, ცხადია, წიგნების გამოცემის საქმე სასურველ ნიადაგზე არიქნებოდა აყენებული.

იმ წყევა-კრულვიან დროსაც კი, როცა მეფის მმართველობა სულს უხუთავდა საზოგადოებას და განსაკუთრებით განაპირა ქვეყნებს, სადაც ყველასათვის კარგად ცნობილი პოლიტიკა სწარმოებდა, შედარებით ცოტა არ კეთდებოდა ამ მხრივ, რადგან ინტელიგენცია მხურვალე მონაწილეობას იღებდა ხალხის გათვითცნობიერების საქმეში; შეიძლება აქ იმგვარი ძალა მოქმედებდა, რასაც ფიზიკაში აქვს ადგილი: რაც მეტს დააწვები, მით უფრო მეტ წინააღმდეგობას ნახავ.

მუშათა ცხოვრება

უნდა მეტი ყურადღება მიექცეს სახელოსნოებში მოწაფეთა პროფესიონალურ აღზრდას

I.

სახ. მეურნეობის უმ. საბჭოს გრეხილი ავეჯეულობის სახელოსნოში (ვერის დაღმართზე) არის, რამდენიმე მოწაფე ხელოსნები. უკვე ნახევარი წელიწადია, რაც მათ დაუმთავრებიათ კურსები ამ სახელოსნოში და ჯერ-ჯერობით ისინი სერიოზულად არავის არ დაუყენებია ამა თუ იმ კვალიფიციურ სამუშაოზე, რომ მოზარდი აღიზარდოს მის მიერ არჩეულ პროფესიაზე. ჩვენის აზრით, ეს სახელოსნოს „სპეციალისტ-მეთაურების“ ბრალია. ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოზარდთ, რომ ადრე აღიზარდონ ამა თუ იმ ხელობაში.

ასე ძველად იყო, ნიკოლოზის დროს, „ხაზეინი“-ხელოსნები მათ მოწაფეებს შეგირდობისთვის განსაზღვრულ დროზე მეტ ხანს სახლში—თავიანთ ოჯახში იმსახურებდნენ; მხოლოდ უკანასკნელ დროს თუ შეასწავლიდნენ რამე ხელობას.

რევოლიუციის შემდეგ კი ასეთ ბატონყმურ დამოკიდებულებას შეგირდებსა და მათ „ხაზეინებს“ შორის ალაგი აღარ აქვს.

მით უმეტეს ასეთ მოზარდთა აღზრდას პროფესიონალურად უდიდესი ყურადღება მიაქცია ეხლა არსებულმა ხელისუფლებამ.

შრომის კანონების თანახმად, „მოწაფენი არ უნდა იყვნენ მოცდენილნი ისეთ სამუშაოზე დაყენებით, რომელსაც არა აქვს არავითარი კავშირი მათი სპეციალობის შესწავლასთან“.

აგრეთვე, მოწაფენი თუ ადრე შეისწავლიან, მათ ეძლევათ გამოცდაზე მისვლის უფლება მოწაფეობის ვადის გასვლამდისაც.

ამ კანონების განხორციელებას მოწაფეობის სასარგებლოდ ხელი უნდა შეუწყონ სახელოსნოების მეთაურებმა და მით ბევრ ღარიბ მშობლებს ადრე უნდა „მოასწრონ“ მათი „იმედი“ შვილები.

მუშკორი ჩხმელი.

საჭიროა მიექცეს ყურადღება

(ქალ. ტფილისის აღმასკომის წყალსადენის საყურადღებოდ)

ბათომის ქუჩაზე, № 16 (დიდუბეში) სცხოვრობს ქვრივი ქალი, ნინო მდივნიშვილისა სამი მცირეწლოვანი ობლებით (ერთი სამი წლისაა). მისი ქმარი მსახურობდა რკინისგზაზე და ამ ორ-ნახევარ წლის წინედ გარდაიცვალა. ქვრივს დაენიშნა პენსია და ამჟამად ღებულობს დაახლოვებით 12 მილიონ მანეთს თვეში. არავითარი სახსარი გარდა პენსიისა, მათ არ აქვთ, ახლობელი ნათესავი მას არა ჰყავს. ოჯახი განიცდის საშინელ კრიზისს. ხშირად ობოლი ბავშვები სიმშილობენ თუმცა მეზობლები ხანდახან უწევენ დახმარებას, მაგრამ ყველა ესენი მუშების ოჯახია და მათ საშუალება არ აქვთ ყოველდღე დახმარება გაუწიონ მას.

ამ დღეებში ხსენებულ ქვრივს, ნინო მდივნიშვილისას გააწერეს წყლის გადასახადი ექვსი მილიონი მანეთი.

ზემო მოყვანილ ცნობებიდან აშკარაა, რომ მას არ აქვს არავითარი საშუალება გადაიხადოს წყლის ფული. ექვსი მილიონი მანეთი ამ ოჯახისთვის დიდი დანაკლისი იქნება.

ნუ თუ ქალაქის აღმასკომი ამგვარ შემთხვევებში არ გაანთავისუფლებს ასეთ პირებს წყლის გადასახადისაგან და კერძოდ კი ქვრივ მდივნიშვილისას?

მუშკორი გარიში.

საბჭოთა პირველი ელექტრონული სადგური

ხსენებულ სადგურში სდგას სამი 260 ძალიანი დიზელის მანქანა. სადგური მშვენივრადაა მოწყობილი. მნახველი დიდ სიამოვნებას გრძნობს, როგორც საერთოდ სადგურის სისუფთავით, ისე მანქანების მშვენიერებით და მათზე მუშების მზრუნველობით.

აქ 18 მუშაა. ისინი შედიან ელექტრონულ სადგურების სამმართველოს საერთო ადგილკომში და ყოველგვარ მუშაობას, როგორც კულტურულს, ისე პროფესიონალურს და პოლიტიკურს, სხვა სადგურების მუშებთან ერთად აწარმოებენ. წერა-კითხვის უცოდინარი მათში ძლიერ ცოტაა.

ჯამაგირებით მუშები საშუალოდ კმაყოფილნი არიან. პირველი ხარისხის განაკვეთი მათთვის 10 მანეთია და შეფარდება კი 1—5 თან.

მუშები ძლიერ ერთგულებას იჩენენ სადგურისადმი. ამ მხრივ აღსანიშნავია ქარხნის გამგე და მექანიკი ამხ. ელოშვილი. ამხ. ელოშვილის ცოდნა და ერთგულება სამსახურისადმი გაზეთებშიც აღნიშნული იყო. შეაკეთა ის 260 ძალიანი მანქანა, რომელიც ტეხნიკურმა კომისიამ თითქმის „უვარგისად იცნო“. ეს მანქანა ახლაც ძლიერ კარგია და მშვენივრად მუშაობს. დიდი მადლობა ეკუთვნის ამხ. ელოშვილს ასეთი ერთგულებისათვის და მისი მაგალითი კი წასაბაძია სხვა მუშებისათვის.

მუშკორი ყედი.

საჭიროა წითელი ცოცხი

5 სექტემბერს შეველი შინაგან საქმეთა კომისარიატის სამილიციო განყოფილებაში საჭირო ცნობების მისაღებად. შეველი ერთ ოთახში და ვხედავ, რომ იქ ზის ერთი თანამშრომელი ქალი მაგიდისაკენ ზურგით და იძრობს ცალ ფეხზე ფეხსაცმელს. მაგიდის მეორე მხარეს სდგას ვიღაც კაცი პორტფელით ხელში და დაჰყურებს მას. უხერხულად ჩავსთვალე ჩემი იქ შესვლა და დაუცადე. ქალმა ჩაიცვა ფეხზე, გამოვიდა გარედ, გაიარ-გამოიარა და ისევ შევიდა თავის ოთახში, ამოიღო პუდრი და სარკესთან შეითითხნა პირი, შეტრიალდა-მოტრიალდა სარკის წინ, გაისწორა კაბა და თმა. ამ საქმისთვის კი მას მოუნდა ცოტა რომ ვსთქვათ ნახევარი საათი, მეორე ნახევარი საათი მას დასჭირდა ამ კაცთან მუსაიფისთვის და შემდეგ მეღირსა, როგორც იყო, მასთან დალაპარაკება. მან გამგზავნა მეორე ოთახში საქმის მწარმოებელთან. იქაც სარკე, სარკის წინ ქალი და იგივე ისტორია. ორ თანამშრომელ ქალს დაუტოვებიათ თავიანთი მაგიდა და შემოსხდომიან საქმის მწარმოებლის მაგიდას, ხოლო ერთი ქალთაგანი იდგა იქ არასასურველ პოზაზე და ესეც იმ დროს, როდესაც გარეშე პირები ბლომად იყვნენ და მას კი არ რცხვენოდა არაფრისა.

ოთახში იყო განუწყვეტელი ხარხარი.

მათგან რაიმე ცნობის მიღებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. მას მუშა ვერ ეღირსება თავის დღეში: დავკარგე ტყუილად ორი საათის სამუშაო დრო და გამოველ გულდაწყვეტილი, ცარიელი, ვინაიდან ის ქაღალდი, რომლის ცნობა მე მინდოდა მიმეღო, გადადიოდა სხვა და სხვა ხელში და იქ, სადაც საჭირო იყო, ვერ მიაღწია მან თავის დროზე. როგორ ფიქრობთ, მკითხველო, ეს არის სამსახურის პირნათლად შესრულება, თუ საბოტაჟი ჰქვიან ამას?—ჩვენ ქალბატონებს ნუ ავიწყდებათ, რომ ისინი მსახურობენ საბჭოთა დაწესებულებაში, სადაც, საჭიროა მუშაობა და არა კუდაბზიკაობა. ადგილობრივ კომიტეტს ალბად სძინავს,—აუცილებელი საჭიროა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ამგვარ ყოვლად დაუშვებელ მოვლენებს და გაწმენდილ იქნეს დაწესებულება ამისთანა არასასურველ ელემენტებისაგან. მოიპოვებიან შრომის ბირჟაში უფრო პატიოსანი მუშაკნი, რომელთაც არა თუ „კოსმეტიკა“, ლუკმა პურის შოვნაც უჭირსთ. აი იმათ უნდა მიეცეთ ამ „კუდაბზიკა-ქალბატონების“ ადგილები. კიდევ საჭიროა წითელი ცოცხი.

მუშკორი ხადგიხი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

ა. წ. 28 აგვისტოს შესდგა აღნიშნულ კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. დღის წესრიგში იდგა:

1) ამხ. ჩიქოვანის მოხსენება გერმანიის ამბების შესახებ.

2) ადგილკომის მოქმედების ანგარიში და მისი გადარჩევა.

3) ურთიერთ დახმარების ბიუროს არჩევა.

პირველ საკითხის შესახებ მომხსენებელი ამხ. ჩიქოვანი დაწვრილებით შეეხო გერმანიაში უკანასკნელ ამბების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ არსებული მდგომარეობა გერმანიაში, თუ ის სასწრაფოდ არ იქნა შეცვლილი საბჭოთა ხელისუფლებაზე, ჩქარა მიიყვანს გერმანიის პროლეტარიატს დაღუპვამდე. მოხსენების შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში კრება გამოსთქვამს აზრს, რომ ბურჟუა კაპიტალისტებთან „შეთანხმების პოლიტიკით“ არ შეიძლება გამოყვანილ იქნეს დასავლეთ ევროპა მშრომელთა კრიტიკულ ეკონომიურ მდგომარეობისაგან. ამას შეიძლებს მხოლოდ კომუნისტური მოძრაობა, რომელიც ფეხს იკიდებს ევროპის ყველა კუთხეებში.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ბოცვაძე. თავის რეზოლიუციაში კრება გამოსთქვამს კმაყოფილებას ადგილკომის მოქმედებით. შემდეგ ამხ. ბოცვაძის წასვლის გამო ხდება ადგილკომის გადარჩევა. ადგილკომში არჩეულ იქნენ ამხ. ჩიხლაძე, ნაზარეტიანი და ჩერნიშევი.

დასასრულ არჩეულ იქნა ურთიერთ დახმარების ბიურო, რის შემდეგ კრება დაიშალა.

მუშკორი ა. ნ.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

(სოციალური დაზღვევა).

კითხვა: ეძლევათ თუ არა და რა რაოდენობით და სახით შრომის ხელფასი იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც ავადმყოფობის გამო მოთავსებული არიან საავადმყოფოებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში და სხვა.

პასუხი: აღნიშნულ პირთ დამზღვევ კასიდან აუცილებლად ეძლევათ მათი ფაქტიური შრომის ხელფასი ყოველივე ნატურალურ კმაყოფის (ულუფის) გამოკლებით, ვინაიდან ასეთები ეძლევათ მათ საავადმყოფო სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში. ულუფებს იღებენ მხოლოდ მათი ოჯახის წევრები, თუ კი ეს უკანასკნელნი ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთა ხარჯზე იმყოფებიან.

კითხვა: რა რაოდენობით ეძლევათ შრომის ხელფასი მარტოხელა, ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც მოთავსებულნი არიან საავადმყოფო-სანატორიუმებში?

პასუხი: ამათ ეძლევათ მხოლოდ მათი შრომის ხელფასის ნახევარი და ისიც ფულის სახით და ვერავითარი ულუფას ესენი ვერ იღებენ.

კითხვა: ვინ ითვლებიან დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრებათ, რომელთაც დამზღვევ კასიდან აქვთ უფლება მიიღონ უფასო საექიმო და ფინანსიური დახმარება?

პასუხი: დამზღვევი კასიდან უფასო საექიმო და ფულად დახმარებას იღებენ გარდა თვით დაზღვეულებისა მათ კმაყოფაზე მყოფი მათი ოჯახის ყველა წევრები, როგორნიც არიან: ა) მცირეწლოვანი შვილები, ობოლი ძმები და დები 16 წლის ჰასაკამდე, ბ) შრომის უნარმოკლებული მშობლები და მეუღლე და გ) ზევით ჩამოთვლილ ოჯახის ყველა ის წევრები, რომელნიც თუმცა შრომის უნარიანი არიან, მაგრამ ყავთ ბავშვები 8 წლის ჰასაკამდე.

კითხვა: ყველა დაზღვეულები საექიმო დახმარებით სარგებლობენ თუ არა თანასწორ უფლებებით?

პასუხი: უფლების მხრივ ყველა დაზღვეულები თანასწორნი არიან.

კითხვა: ეძლევათ თუ არა რაიმე ფინანსიური დახმარება და რა რაოდენობით თვით დაზღვეულის, ან და მის ოჯახის შრომის უნარდაკარგული წევრის სიკვდილის დროს (თუ კი ეს უკანასკნელი მის კმაყოფაზე იმყოფებოდა)?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში განსვენებულის დასამარხავად დამზღვევი კასა ვალდებულია, თუ კი სათანადო მოწმობები მას წარედგინება ვისგანაც ჯერ არს, გასცეს ერთდროული დახმარება დასამარხი ხარჯების დასაფარავად, მაგრამ არა უმეტეს ადგილობრივად არსებულ საშუალო შრომის ხელფასისა, თუ კი განსვენებული იყო არა ნაკლებ 12 წლისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დახმარება ნახევრდება.

(იხ. ამ.-კავ. სოც. რესპ. საკავშ. საბჭოს დეკრეტის მუხ. 3, 4, 5. 1922 წლის 23 აგვისტოდან).

რევოლიუციამ ცხოვრების პირობები ძირიან ფესვიანად გადაატრიალა, ბევრი დიდი ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხი წამოაყენა, რამაც საზოგადოების ყოველ შეგნებულ წევრს დიდი ენერგია მოსთხოვა; ფსიხიკა გარდაქმნა. აღარ იკმარა ძალამ სხვადასხვა დარგში მუშაობისათვის, რამაც უეჭველია დიდი გავლენა მოახდინა წიგნების გამრავლების საქმეზედაც.

ვეებერთელა რუსეთში რომ ბევრი წიგნი გამოდის, არც ეს არის საკვირველი: მარტო მოსკოვში სახელმწიფო გამომცემლობის, „კრასნაია ნოვის“, „მოსკოვსკი რაბოჩი“-ს გარდა არსებობს სამოცამდე სხვადასხვა კერძო გამომცემლობანი. მოსკოვის სახელგამს აქვს პროვინციაში თექვსმეტი განყოფილება—საქართველოს ვერ შეუძლიან შეედაროს რუსეთს:

საბჭოთა ხელის-უფლების დამყარების შემდეგ, იმაზე მეტის გაკეთება, რაც გაკეთდა, შეუძლებელი იყო, იმის გამო, რომ ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა ამ დიდ საქმეში სრულ პასიობას და ინდიფერენტიზმს იჩენდა.

უპირველეს ყოვლისა, მწერალთა კავშირს უნდა ეზრუნა ამ საქმისათვის, მაგრამ მისი უნარი ამ საქმეში ექვსი წლის განმავლობაში მხოლოდ იმაში გამოიხატა, როგორც ამას სამართლიანათ აღნიშნავს გაზ. „რუბიკონი“ № 13, რომ „გამოსცა მარტო ერთი ზ. ჭიჭინაძის ბიოგრაფია, და რამდენიმე ნომერი ყოველ—კვირეულ გაზეთის“, მიუხედავად მთავრობის დახმარებისა, ქაღალდის სახით,—მიეცა 1.000 ფუთი ქაღალდი.

სწორედ ის, რაც ზევით ვსთქვით, არის მიზეზი, რომ სახელმწიფო გამომცემლობამ იმდენის გაკეთება ვერ შესძლო, რაც ჩვენს მოთხოვნილებას სავსებით დააკმაყოფილებდა; მაგრამ რომ მას არც ისე ცოტა გაუკეთებია, რომ დღევანდელ პირობებში საყვედურის ღირსი იყოს, ამას და საერთოდ საქმის მდგომარეობას შემდეგიც მოწმობს.

გამომცემლობის საქმეს მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია: 1922 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში—ამ დრომდის სახელგამი მხოლოდ ნომინალურად არსებობდა; ტეხნიკური აპარატი იყო—დაინიშნა სარედაქციო კოლეგია, და ამ დღიდან სათანადო მუშაობაც დაიწყო; კოლეგიამ შეიმუშავა საგამომცემლო გეგმა, რომლის მიხედვითაც პირველ რიგში იბეჭდებოდა სახელმძღვანელოები, სამეცნიერო-პოპულიარული წიგნები, თარგმანები მსოფლიო ლიტერატურიდან და მონოგრაფიები საქართველოს ისტორიისა და სიტყვიერების დარგიდან.

თავის ათი თვის არსებობის განმავლობაში, სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა 62 სხვა და სხვა სახელმძღვანელო შრომის სკოლებისათვის, ტეხნიკუმებისა და უნივერსიტეტისათვის; 18 წიგნი მარქსისტული ლიტერატურიდან და ბელეტრისტიკიდან: ვაჟა-ფშაველა, ნ. ბარათაშვილი, ნ. ჩხიკვაძე, ვ. ბარნოვი, არტურ ლეისტი, შალვა დადიანის პიესები, მე-12 საუკ. საერო ლიტერ. და „ვეფხის ტყაოსანი“ ი. აბულაძისა და სხვ. სულ 800.000 ეგზემპლიარამდე.

გარდა ამისა, დამზადებულია და იბეჭდება: პ. ინგოროყვას გამოკვლევანი „რუსთაველიანა“ სამ ტომათ, მზადდება ს. აბაშელის რედაქციით და ორი სამი თვის განმავლობაში გამოვა: აკაკი წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ივანე მაჩაბელის თარგმანი (შექსპირის დრამები), ვაჟა-ფშაველა ტომი 2 და სხვ.

მარქსისტული ლიტერატურიდან ნათარგმნია და გამოვიდა კ. მარქსის და ენგელსის წერილები, მარქსიზმის საფუძვლები, კ. მარქსის „ფასი, საქირაო ქირა და მოგება“. იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა: კ. მარქსი — „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ და სხვ.

სამეცნიერო პოპულიარული სერიიდან იბეჭდება: იაკოვლევის „მიწის მეცნიერების ისტორიიდან“, ვაგნერის „წყლის ამბავი“, ფლამარიონის „ასტრონომია“ და სხვ.

მსოფლიო ლიტერატურიდან გადმოთარგმნილია და გამოვიდა ა. ბოგდანოვის „წითელი ვარსკვლავი“; ნათარგმნია და იბეჭდება ჯეკ-ლონდონის „რკინის ქუსლი“. ითარგმნება: სპარტაკი, კოგანის მსოფლიო ლიტერატურის ისტორია რვა ტომათ, ვერხარნის ლექსები, ბარბიუსის „ცეცხლში“, ჰაუპტმანის „მზის ამოსვლამდე“, სინკლერის „ჯიმი ხიგი“, ა. ბოგდანოვის „ინჟენერი მენი“ და სხვა.

მოვიყვანოთ ცხრილი, თუ რა გაკეთებულა წიგნების გამომცემლობის საქმისათვის საქართველოში 1917 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და რა გაკეთდა მას შემდეგ: ამ თვეში გაკეთებული შევადაროთ რამდენიმე წლის განმავლობაში გაკეთებულს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე

№ №	გამომცემლობის სახელწოდება	სახელმძ.	პოლიტიკ.	ბელეტრ.	სამეცნიერ.	საბავშვო	პედაგოგ.	კოოპერატ.	პოეზია	ფრანგული	გერმანული	ჯამი ქართ.	ჯამი რუს.	სხვა ენ.
1	ქ. შ. წ.-კით. საზოგადოება	19—1	—	40	—	24	—	—	—	—	—	—	—	—
2	გამომცემლობა „განათლება“	16	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
3	„ „მთავრიშვილისა“	19	—	—	—	—	—	—	—	2	2	—	—	—
4	„ „მერანი“	12	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
5	„ „არაბიძისა“	6	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
6	„ მასწავლებ. კავშირი	—	—	—	—	—	3	—	—	—	—	—	—	—
7	„ „ნორჩი ძალა“	1	—	—	1	3	—	—	—	—	—	—	—	—
8	„ სახელმწ. უნივერსიტ.	—	—	—	5	—	—	—	—	—	—	—	—	—
9	„ ქურ. კოოპერაცია	—	—	—	—	—	—	8	—	—	—	—	—	—
10	„ „სორაპანი“	6	—	18	—	—	—	—	4	—	—	—	—	—
	სულ გამოიცა	79—1	2	58	6	27	3	8	4	2	2	187	1	4

ჯამი . . 192

გამოცემულია საბჭოთა ხელისუფლების დროს

№ №	გამომცემლობის სახელწოდება	სახელმძ. ქართ.	სახელმძ. რუს.	პოლიტ. ქართ.	პოლიტ. რუს.	ბელეტ. ქართ.	ბელეტ. რუს.	სამეცნ.	საბავშვო	პედაგოგ.	კოოპერატ.	სომხური	ასირიული	თურქული	ფრანგული	გერმან.	პროფ. კავშ. ქართ.	პროფ. კავშ. რუს.	ჯამი ქართ.	ჯამი რუს.	სხვა ენაზე
1	სახელმწ. გამომცემ.	62	1	18	3	22	4	—	42	16	—	8	2	1	2	3	—	—	—	—	—
2	წითელი წიგნი	2	6	17	11	—	—	—	—	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	—
3	საქ. კომპარტ. ცეკა.	—	—	55	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
4	ახალგ. კომკავშირი	—	—	12	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
5	მთავარ პოლიტგან.	6	—	13	—	13	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
6	რ.კ.პ. ა.-კავკ. კომიტ.	—	—	4	43	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
7	სახელმწ. უნივერსიტ.	—	—	—	—	—	—	5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
8	განათ. მუშ. კავშირი	—	—	—	—	—	—	—	—	3	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
9	ცეკავშირი	7	—	—	—	—	—	—	—	—	17	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
10	საქ. პროფკავშ. საბჭ.	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	17	21	—	—	—
	ჯამი	77	7	119	57	35	4	5	42	19	17	9	2	1	2	3	—	—	331	89	—

რომ შევადაროთ ეს ორი ცხრილი, მკითხველი აშკარად დაინახავს, რომ მენშევიკების დროს გამოცემულა სულ 420:

ქართ. 187 სხვადასხვა სახელწ. წიგნ.
რუსულ. 1 — — — —
ფრანგულ. 2 — — — —
გერმანულ. 2 — — — —
192.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იმავე ხნის განმავლობაში:

ქართ. ენ. 331 სხვადასხ. სახელწ. წიგ.
რუსულ ენაზე 89
სომხურ. 8
თურქულ. 1
ასირიულ. 2
ფრანგულ. 2
გერმანული 3
420.

როგორც ხედავს მკითხველი, კომუნისტურ მთავრობას ორჯერ მეტი გაუკეთებია ქართულ კულტურისათვის გამომცემლობის დარგში, ვიდრე „ეროვნულ და დემოკრატიულ“ მთავრობას მენშევიკებისას.

ამის შემდეგ მკითხველმა თვით გასინჯოს, რამდენად სამართლიანია ზევით მოყვანილი საყვედური „რუბიკონისა“ და გაზეთ „ტრიბუნას № 537-ში გამოთქმული შიში...

არავინ იფიქროს, ვითომ ჩვენ გვაკმაყოფილებდეს და ბევრი გვეგონოს ის, რაც გაკეთდა, არა, მაგრამ, აღნიშნულ პირობებში მეტის გაკეთება ვერ მოხერხდა. „არაფერი გაკეთებულაო“, როგორც ხედავთ, ტყუილია.

სახელმწიფო გამომცემლობის გამგე პ. ზუმბაძე.

პროვინციაში

დ. ქარელი

კვირა, 10 სექტემბერი, დაუვიწყარი დღეა ქარელის თემის მშრომელი გლეხკაცობისათვის. ამ დღეს ქარელის გლეხკაცობა ზეიმით შეხვდა; ყველა დაწესებულებები და დაბა ყვავილებით, დროშებით და გირლიანდებით იყო მორთული. კვირას ქარელის მშრომელი გლეხობა მოელოდა ძვირფას სტუმრებს. ამ დღეს ქარელის თემზე მზრუნველობა უნდა მიეღო ტფილისის დეპოს მუშებს. დილის ცხრა საათზე სადგურის წინ მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს, მუშები მჭყობრათ უცდიან ქარელის თემის ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ქარელის თემის ორგანიზაციის კომპარტიის და კომკავშირის წევრები, ხალხი მრავალი წითელი დროშებით შეეგებებ დეპოს მუშებს. წარმოთქმულ იქნა მოკლე სიტყვა. შემდეგ შეერთებული მუსიკით წინ პროცესია ივლის მთავარ ქუჩებს. დღის პირველ საათზე თეატრში იხსნება თემის პარტორგანიზაციის და კომკავშირის ღია კრება მუშებთან და გლეხებთან ერთად. შეფობის მნიშვნელობის და მისი ორგანიზაციულად მოწყობის შესახებ მოხსენებებით გამოდიან ტფილისის დეპოს მუშების წარმომადგენლები: ლუკაშევიჩი, ვარლამოვი, მაისურაძე, ცხვარაძე.

საკითხების ამოწურვის შემდეგ თავმჯდომარე კრებას დახურულად აცხადებს.

მთელი დღე მიტინგის დაწყებამდი მოედანზე მუსიკა უკრავდა.

საღამოს 5 საათზე სადგურის წინ მოედანზე, სადაც არის გამოფენილი მუშების მიერ მოტანილი სხვადასხვა ნივთები და სამუშაო იარაღები, მიტინგს ხსნის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გვილავა. მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს. სიტყვები შეფობის მნიშვნელობის შესახებ წარმოსთქვეს მუშების წარმომადგენლებმა ამხ. ლუკაშევიჩმა, მაისურაძემ, ვარლამოვმა და სხ., ადგილობრივ ორგანიზაციების სახელით მხურვალეთ ესალმება მუშებს ამხ. გაბუნია. ორატორების სიტყვებს დიდი აღფრთოვანებით ისმენდა საზოგადოება. ამ მიტინგზე არჩეულ იქნა 45 კაცისაგან შემდგარი საბჭო, რომელსაც თემის მასშტაბით მჭიდრო კავშირი ექნება ტფილისის დეპოს მუშებთან.

თავმჯდომარე მიტინგს დახურულად აცხადებს, მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს. ხალხი მიემართება სადგურის წინ, სადაც მუშების მიერ გამართული არის პროექტორი. აქ უჩვენეს მრავალი სხვადასხვა სურათები. ღამის ათ საათზე საზოგადოება იშლება დიდათ კმაყოფილი და აღფრთოვანებული ამ დიდი მოვლენით.

ხერგო.

ქ. ჭიათურა

7 ამა სექტემბერს საღამოს ხუთ საათზე ადგილობრივ თეატრის დარბაზში სამპარტკომის ინიციატორობით მოწვეულ იქნა მუშა-მოსამსახურეთა და მოქალაქეთა საჯარო კრება, რომელსაც დაესწრო დიდძალი ხალხი.

კრებაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება შემდეგ თემაზე „საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობის მუშაობა და მისი შედეგები“. მოხსენება გააკეთეს ყოფილ მენშევიკებმა, ყრილობის დელეგატებმა, ვაგონის მუშებმა—**იაკო კვეთელაძემ** და **ნიკო ცირიკიძემ**. მომხსენებლებმა აღნიშნეს ვრცლად ყრილობის მიერ გარჩეული საკითხები, მოხსენებების დადგენილებები; ნათლად დაუსურათეს მსმენელთ მენშევიზმის—გაკოტრება და მუშათა კლასის გაერთიანება საქართველოში. მიუხედავათ იმისა, რომ მოხსენებები შინაარსიანი იყო და აგრეთვე მარტივიც, აღმოჩნდა ერთი უდღეური თავისი ცოდნით „ახალგაზრდათა მარქსისტი“ **ლაბაძე** და დაუწყო მარქსის მოძღვრებას თავისებურად ჯიჯგნა, ის ცდილობდა მარქსის კაპიტალიდან გამოეყვანა მენშევიკების პოლიტიკა და ტაქტიკა, მაგრამ ბოლოს „დოშხალი“ მიიღო; მუშა ცირიკიძემ შენიშნა „ახალგაზრდა მარქსისტს“ „მარქსი ახლა ცოცხალი იყოს და ისმენდეს რასაც შენ ბოდავ, კბილებს დაგაძრობსო“; ცირიკიძის შენიშვნამ ტაში გამოიწვია მსმენელებიდან. შემდეგ გამოვიდა ვრცელი სიტყვით სამპარტკომის წევრი ამხ. სუფსისპირელი, რომელიც შეეხო ყრილობის მუშაობის იმ ნაწილს, რაც ვერ ამოწურეს ამხანაგ მუშებმა, მან აგრეთვე ანალიზი გაუკეთა მენშევიზმის იდეოლოგიას და ნათელყო კომუნისტური პარტიის სწორი გზა მშრომელი კლასის ინტერესების დასაცავად. აუდიტორიამ დიდის ყურადღებით მოისმინა ამხ. სუფსისპირელის სიტყვა და ერთსულოვანი ტაშით დააჯილდოვა მომხსენებელი. სანამდი სუფსისპირელი იტყოდა სიტყვას, ორატორთა სიაში ჩაწერილი იყო მგონი კიდევ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ **შეყრილაძის** ქალი, მაგრამ შემდეგ სიტყვაზე უარი განაცხადა; ალბად სათქმელი არაფერი არ დარჩა.

კრებამ გასტანა 4—5—საათი და ღამის ათ საათზე დაიშალა, დიდად კმაყოფილი.

სამპარტკომს განზრახული აქვს ასეთი სადისკუსიო კრებები მოიწვიოს ჯერ რაიონებში, შემდეგ კი თემებში.

ანქანი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი იწყებს ტფილისის ორგანიზაციის ყველა წევრთა პოლიტცოდნის შემოწმებას და ამ სამუშაოს გასატარებლად მობილიზაციით იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

ადამსკაია, ავერინი, ალავარდიან, ადამიან, ალაჯალოვა, ატარბეგოვი, ანეშელევიჩი, ავაკოვი, ამირაგოვი, ბალტინი, ბროდსკი, ბუდილევი, ვირაპი, ვაშაკიძე, ვულფოვიჩი, ვაშაძე, ვართაპეტიანი, გოლდბაუმი, გინდინი, გრიცენკო, გინზბურგი, გენკინი, გუბსკი, გომინერი, გუსეინოვი, გოგიტაშვილი, გალკინი, გოლუბევა, ჯაფარიძე, დიმატი, დანდუროვი, დივენოგორცევი, დუბენსკი, ერქომაიშვილი, ელისაბედაშვილი, ეოჟიკაშვილი, ჟვანია, ივანოვ-კავკაზსკი, იგნატოვი, ივანიანი, კახიანი, კალანდაძე, კუჭაიძე, კამაკოვა, კურულოვი, კოსტიანი, კანდელაკი დ., კოგანი მ., კიკნაძე (რედ.), კარტოზია, კაც, კორძაია, ქართველიშვილი, კიკალეიშვილი, ლომინაძე, ლიადოვსკაია, ლიოზნიანსკაია, ლიბახი, მედვედევი, მამულაშვილი, მიქაძე არჩ. მირიჯანაშვილი, მარქარიანი, მინსკი, მინასიანი, მოვშენზონი მოგილევსკი, ნოვიკოვი, ნაზაროვი, ნადიროვი, ნემჩინოვი, ნადირაძე, ორახელაშვილი მარო. ოკუჯავა, ქ. ოკუჯავა მ. პოლისი, პადერინი, პადერინა, პენიაკოვი ა., პენიაკოვას. რასულზადე, რახმანი, რუხაძე გენ. სოკოლოვსკი, საყვარელიძე, სააკიანი, სტეპანიანი, თალაქვაძეს, თალაქვაძე ი. ტალიბლი, ტაკოევი, უბირია, ფროლოვი, ფრანგულიანი, ხაჭაპურიძე ს. ხანოიანი, ხაცკევიჩი, ჩიხლაძე, ჩხაიძე (დედ), შაველდოვა, ესსენი მ. ესსენი ა. ერისთავი.

ყველა ზემოაღნიშნული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ ოთხშაბათს, სექტემბრის 19-ს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის კომიტეტის ბინაზე, ინსტრუქციების, მასალების ანკეტების და სხვათა მისაღებად.

მობილიზაცია ქმნილმა ყველა ამხანაგებმა პარტიული დისციპლინის წესით უნდა აღასრულონ ყველა დავალებანი ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებისა.

შემოწმების მთელი დროის განმავლობაში ხსენებული ამხანაგები თავისუფლდებიან პარტიული მოვალეობათა აღსრულებისაგან.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რ უ ბ ე ნ ი.
ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ე ს ს ე ნ ი.

— საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა უჯრედებს, რომ სექტემბრის 17, ე რ თ ი ა ნ ს ა კ ა ვ შ ი რ ო დ ღ ე ს დასვან საკითხი საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობის შესახ ბ. თეზისები მოთავსებული იყო გაზ. „კომუნისტის“ № 209.

საქ. კომ. ახალგ. კავშირის ტფილისის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ლ ო მ ი ძ ე.

— რუსულ მუშათა ფაკულტეტზე სამანდატო კომისიის მიერ დაშვებულთა გამოცდა დაიწყო სექტემბრის 12 და გაგრძელდება 13, 14 და 15 სექტემბერს, საღამოს 4 ნახ. საათზე, მუშათა ფაკულტეტის შენობაში ბებუთოვის ქ. № 28.

დამატებითი გამოცდა ძველი სტუდენტებისა, რომელთაც გამოცდები არ ჩაუბარებიათ, მოხდება სექტემბრის 17-ს, 18-ს 19და20-ს. საღამოს 4 ნახ. საათზე იქვე.

განცხადებანი

ღრმათ დამწუხრებულნი ქართულ დივიზიის საარტილერიო ნაწილების უფპოლიტ-ადსამხეთ და წითელ-არმიელები [illegible] გამოსთქვამს უღრმეს მწუხარებას 1-ლ ბატარეის სამხედრო კომისარის ამხ.

ივსიხი თომას-ძე ყაჭეიშვილის

უდროვოთ გარდაცვალების გამო, რომლის გამოსვენება მოხდება 14 სექტემბერს ა. წ. 1-ლ საათზე სამხედრო საავადმყოფოდან, ნავთლუღი. გურიაში წასასვენებლათ.

1—1 1201

ღრმათ დამწუხრებულნი პარტ-ამხანაგები ქართულ დივიზიის საარტილერიო ნაწილებისა აუწყებს პარტამხანაგებს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ უდროვოთ ხელიდან გამოცლას ენერგიულ და პატიოსან პარტ-ამხანაგის

ივსიხი თომას ძე ყაჭეიშვილის

ხსენებულ ნაწილის 1-ლ ბატარეის სამხედრო კომისარის, რომლის გამოსვენება სამხედრო ჰოსპიტლიდან მოხდება 14 სექტემბერს 1923 წ. 1 საათზე გურიაში წასასვენებლათ.

ქარ. დივიზ. საარტ. ნაწილების ბიუროს კოლექტივი. 1—1 1200

ქართულ მსუბუქ საარტილერიო დივიზიონის 1-ლ ბატარეის მეთაურები და წითელ-არმიელები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობებს აღნიშნული ბატარეის სამხედრო კომისრის

ამხ. ივსიხი ყაჭეიშვილის

უდროოდ გარდაცვლას.
გამოსვენება სამხედრო საავადმყოფოდან სადგურზე 13 საათზე.

1—1 1198

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავალდებულო დადგენილება № 28

მსუბუქ, სატვირთო და სპეციალურ ავტომობილების მოტოციკლეტების და მათი ცალკე ძრავების აღრიცხვის შესახებ.

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფარგლებში სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და კერძო პირთა და ორგანიზაციათა კუთვნილ, როგორც ხმარებაში მყოფ, ისე დაშლილ, ავტომობილების და მოტოციკლეტების და აგრეთვე მათი ცალკე ძრავების საერთო რაოდენობის სისწორით გამორკვევის მიზნით,—სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ამით აცხადებს აღნიშნულ ავტო-ქონების აღრიცხვას ა) თბილისში აღრიცხვას აწარმოებს ს. მ. უ. ს. ცენტრალურ სატრანსპორტო განყოფილების კომისია ს. ს. რ. კ. გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენლის მონაწილეობით და ბ) რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში სამაზრო აღმასკომების კომუნალურ მეურნეობის განყოფილებაში.

2. ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან სათანადო კომისიებში წარადგინონ მათ განკარგულებაში მყოფი § 1-ში ხსენებული, ავტოქონების სია, რომელშიაც უეჭველად უნდა იყოს აღნიშნული: ა) ფირმა და ტიპი, ბ) სიდგან და როდის გადმოვიდა ქონება, და რა ნომრები აქვს ქონებას და გ) სად და რა მდგომარეობაშია ქონება.

3. ყველა კერძო დაწესებულებები, ორგანიზაციები და პირნი ვალდებულნი არიან სათანადო კომისიებს წარუდგინონ განცხადება, რომელშიაც ჩამოთვლილ უნდა იყოს § 17-ში ხსენებული მათი ქონება. განცხადებაში უნდა მოყვანილ იქნეს § 2-ში მოხსენებული ცნობები და უეჭველად უნდა დაერთოს ყველა საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მეპატრონეთა უფლებას აღსარიცხავ ავტოქონების მფლობელობაზე.

4. განცხადებები და სიები წარმოდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ა. წ. ოქტომბრის 15-სა.

შენიშვნა: ადგილობრივი კომუნალურ მეურნეობის განყოფილებანი (გარდა თბილისისა) ვალდებულნი არიან არა უგვიანეს ა. წ. ნოემბრის 1-ისა წარმოუდგინონ დასამტკიცებლად ს. მ. უ. ს. ცენტრ. სატრანსპორტო განყოფილების კომისიას გატარებულ აღრიცხვის ცნობათა დაწვრილებითი ნუსხა.

5. § § 2 და 3-ში ხსენებული პირნი ვალდებულნი არიან კომისიის მოთხოვნილებით წარუდგინონ მას აღსარიცხავი ქონება დასათვალიერებლად.

6. § § 2 და 3-ში ხსენებულ დაწესებულებანი და პირნი ვალდებულნი არიან § 1-ში ჩამოთვლილ ქონების შეძენის დღიდან ორი კვირის განმავლობაში ახლად შეძენილ ავტოქონების შესახებ შეასრულონ ამა დადგენილების § 2 და § 3-ით მოთხოვნილებანი.

7. ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

8. ეს სავალდებულო დადგენილება არ ვრცელდება იმ დაწესებულებებზე და პირებზე, რომელთა 1923 წ. მიღებული აქვთ აღრიცხვის მოწმობები.

სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს თავმჯდომარე ავაქოვი.
შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ტალახაძე.
ს. მ. უ. ს. საქმეთა მმართველი ბერიძე.

1923 წ. აგვისტოს 23.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საალმშენებლო მუშაობათა სამმართველოს

ესაჭიროება შემდეგი მასალები:

1) 2 სამტონიანი ასაწევი მანქანა („ლებედკა“) მექანიკური მუხრუჭით და კბილებით ღვედით ასაბრუნებლად.

2) 2 საქაჩავი („ნასოსი“)—თვითეულის მუშაობის ნაყოფიერება უნდა უდრიდეს 12 მეტრს საათში, 60 მეტრ. გეოდეზიურ სიმაღლეზე წყალის ასაყვანად. საქაჩავებს უნდა ჰქონდეთ მოწყობილება ელექტრო-მამოძრავებლის მუდმივი ნაკადის 440 ვოლტით ასამუშავებლად, მაგრამ შეიძლება აგრეთვე უშუალოთ ნავთის მატორთან შესაერთებელი საქაჩავიც.

3) მილები რკინის გაზისათვის „3“, „2 ნახ.“ და „2“ დიამეტრით, მოწყობილებით და ცეცხლის მქრობელი ონკანით („კრანი“).

4) შემდეგი მოწყობილება: წყლის გასაცხელებელი ქვაბი, დაახლოვებით 9 კვ მეტრ. ზედაპირით, 4 რკინის აუზით—რომლის ჩამტეობა უნდა უდრიდეს 400,230,8 და 5 ვედროს; ონკანები, და მილები—„2“, „ნახ.“ და „სამი-მეოთხედი“ დიამეტრით, და წყალსადინარის სხვა მოწყობილებანი.

საჭირო მასალების ვრცელი სიის გაგება შეიძლება ყოველდღე დილის 8 ს. დღის 2 საათამდე სამუშაოების სამმართველოს მატერიალურ ნაწილში (ლადო დუმბაძის ქ. № 3).

განცხადებანი ყველა მასალების ან ნაწილის მიწოდების შესახებ ღირებულების ჩვენებით (ფრანკო-ტფილისი) და მიწოდების ვადის ჩვენებით მიიღება ა. წ. 21 სექტემბრის საშუალების მატერიალურ ნაწილში.

604—2—2 სამუშაოების უფროსის თანაშემწე—კ ი კ ნ ა ძ ე.

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული ბუღალტერიის პრაქტიკული კურსი
ი. ფ. პალატნიკოვის
პლეხანოვის პრ. № 182.
აწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში
მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვე.
კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.
0—41

ელექტრონის [illegible]
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის [illegible]
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible]
ექიმობას საჭიროებენ.
[illegible] ექ. სვიმონ უიფშიძის [illegible]
[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20. (501—25—16

ქ. ტფილისის 3მ-4 უბნის სახალხო მოსამართლე
(მუხრანის ქ. № 4)
იწვევს ამის გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში [illegible] დაკარგულ [illegible] აგაჯანოვის ძე ტერ-სარკისოვს, როგორც მოპასუხეს მისი ცოლის საჩივრის გამო გაყრის შესახებ. 1—1 1195

დავკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი მარტინ ასატუროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1199

დავკარგე ხელოსნების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 1175 ლიუდმილა დენის ნელიდოვა-კუზმის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1197

დავკარგე პასპორტი სერგეი საფარიანცის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 1196

დავკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი ელიზბარ მაისურაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 1194

[illegible] სტამბა, კომუნისტების ქუჩა № 4.